აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№60 (25.084) შაბათი, 10 - 12 ივნისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 23-28, შიდამთიან რაიონებში - 22-27 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 18 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 754 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გერმანიის კანცლერს შეხვდა. ეს ბოლო 10 თვის განმავლობაში ირაკლი ღარიბაშვილისა და ოლაფ შოლცის მესამე შეხვედრაა. ირაკლი ღარიბაშვილსა და ოლაფ შოლცს შორის მოლაპარაკებები ფოკუსირებული იყო მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების, ევროპული პოლიტიკის და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე. ირაკლი ღარიბაშვილის სამუშაო ვიზიტი გერმანიაში 8 ივნისს დაიწყო. დახვედრის ცერემონია ვილი ბრანდტის სახელობის სამხედრო აეროპორტში შედგა.

* * *

საფრანგეთში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი გამორჩეულად პროდუქტიული იყო, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა საფრანგეთში ვიზიტის შეჯამებისას. როგორც მან აღნიშნა, აქვთ მოლოდინი, რომ საფრანგეთის მხრიდან იქნება პოზიტიური დამოკიდებულება, როდესაც საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი დადგება. „ყველა ხვდება, რომ საქართველო კვლავ ლიდერია უკრაინასთან და მოლდოვასთან შედარებით და იმსახურებს, რომ ის წყვეტა, რაც მოხდა ასოცირებულ ტრიოს შორის, როცა ცალკე მიენიჭათ კანდიდატის სტატუსი მოლდოვას და უკრაინას, უნდა აღმოიფხვრას“, - განაცხადა პაპუაშვილმა.

* * *

ჩვენი კარი ღიაა. ვისაც უნდა, შემოგვიერთდეს, - ამის შესახებ პარტია „ლელოს“ ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ პარტიული კონფერენციის დასრულების შემდეგ განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, „ლელო“ არის ის ძალა, რომელიც მომავალ კოალიციურ მთავრობაში წამყვან როლს მიიღებს. „ჩვენ ენმ-სთან ვერანაირ კავშირს ვერ ვხედავთ, თუმცა ვხედავთ ძალიან დიდ პოტენციალს საზოგადოების, აკადემიური წრეების, დიპლომატიის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან, რომლებსაც უნდათ აქტიურად ჩაერთონ ჩვენი ქვეყნის მომავლის მშენებლობაში და ამით ვართ ახლა ჩვენ დაკავებული,“ - აღნიშნა ხაზარაძემ.

* * *

ვაპირებთ 160 სოფელში, ქალაქსა და რაიონში შევხვდეთ მოსახლეობას, გავაძლიეროთ ინფრასტრუქტურა, შევქმნათ ფაქტობრივად არმია იმისთვის, რომ ვებრძოლოთ „რუსულ ოცნებას“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ამისთვის ყოველდღიურ რეჟიმში იმუშავებს, - განაცხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილმა ხელვაჩაურში, სადაც მოსახლეობის წარმომადგენლებს შეხვდა. მისი თქმით, ადგილობრივებს „უკიდურესად სერიოზული პრობლემები აქვთ“.

მოამზადა
ია შველიძემ

უძრავი ქონების „ოსკარი“ – ბათუმის სტადიონს

ქალაქ მაიამიში FIABCI World Prix d'Excellence Awards 2023 დაჯილდოება გაიმართა. უძრავი ქონების „ოსკარის“ მასშტაბურ ღონისძიებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე დაესწრო და დაჯილდოების ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებაში მსოფლიოს ათასობით წარმატებული კომპანია და 70-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობდა

ბათუმის „აჭარაბეთ არენა“ FIABCI-ის დაჯილდოებაზე მსოფლიო საუკეთესო საჯარო ინფრასტრუქტურის ნომინაციაზე იყო წარდგენილი. სტადიონმა, მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებით, საერთაშორისო ჯილდო და აღიარება მოიპოვა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ეს მნიშვნელოვანი ჯილდო FIABCI-ის პრეზიდენტმა პირადად გადასცა.

- ძალიან სასიამოვნო და საამაყოა, რომ ბათუმმა მიიღო ეს პრესტიჟული ჯილდო საჯარო ინფრასტრუქტურის კატეგორიაში. ჩვენი სტადიონი, რომელიც ყველას ძალიან მოგვწონს და ვამაყობთ, კიდევ ერთხელ შეფასდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო არქიტექტურული და საჯარო ინფრასტრუქტურული პროექტი. რა თქმა უნდა, ეს ძალიან საპატიო და საპასუხისმგებლოა, ამავე დროს, ძალიან დიდი მოტივი და სტიმული, რომ კიდევ უფრო მეტი და ეფექტიანი მშენებლობა განვახორციელოთ“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

FIABCI-ის უძრავი ქონების მსოფლიო კონგრესმა თორნიკე რიჟვაძე ინფრასტრუქტურისა და უძრავი ქონების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვა. უმაღლესი ჯილდო აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს მაიამიში პრეზიდენტმა სუზან გრინფილდმა გადასცა.

აღსანიშნავია, რომ მალე „აჭარაბეთ არენა“ მასშტაბურ ღონისძიებას „2023 წლის ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატს უმასპინძლებს ფეხბურთში. სტადიონი ამ მხრივაც მზადაა. როგორც მედიასთან აჭარის პროექტების მართვის კომპანიის დირექტორმა ბაქარ ჩიტაიამ განაცხადა, ჩვენმა არენამ უეფას ინსპექტირების რამდენიმე ეტაპი წარმატებით გაიარა. ქალაქის მთავარი სტადიონი ნახევარფინალურ და რაც მთავარია, ფინალურ მატჩს უკვე მაღალი ჯილდოს მფლობელის რანგში უმასპინძლებს. ფინალური შეხვედრა 8 ივლისს გაიმართება.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე მაიამი დეიდის მერ დანიელა ლევინ კავას შეხვედრა. შეხვედრაზე აჭარისა და მაიამი დეიდის დამეგობრების შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება. მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს და კონკრეტული პროექტების განხორციელების შესახებ დასახეს გეგმები. დაიგეგმა ერთობლივი პროექტების განხორციელება ტურიზმის მიმართულებით. თორნიკე რიჟვაძე, ასევე, შეხვდა მაიამი ბიჩის მერ დენ გელბერს, გლობალ მაიამის ვიცე-პრეზიდენტ მენი მენსს, საჯარო და ბიზნესწრეების ხელმძღვანელ პირებს.

«კრემლი ასოცირდება არა მხოლოდ გენოციდთან, არამედ ეკოციდთანაც...»

3

რა იწვევს მოზარდებში აგრესიას და როგორ უნდა მოიქცეს მშობელი?

4

ISSN 2720-8702

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

უნგრელი ტურისტების მოსაზიდად

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

აჭარის პოპულარიზაცია ევროპულ ქვეყნებში გრძელდება. ამჯერად, უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაიმართა სპეციალური მიღება „ერთი დღე საქართველოში - გაიცანი აჭარა“, რომელსაც დიპლომატიური კორპუსის, მედიისა და სხვადასხვა ტურისტული კომპანიის წარმომადგენლები დაესწრნენ. ღონისძიებაზე ქართული კულტურა, ღვინო და გასტრონომია იყო წარმოდგენილი

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტისა და უნგრეთში საქართველოს საელჩოს ჩართულობით, პრეზენტაცია ჩატარდა უნგრეთის წამყვანი მედიასაშუალებების, ტუროპერატორების და ბლოგერებისთვის. მათ შორის ავიაკომპანია „ვიზაairის“, მედიაგამოცემების „ბუდაპეშტ თაიმსის“, „დაილინიუსის“, „უნგრეთის“ და წამყვანი მარკეტინგული კომპანიების წარმომადგენლებთან.

უნგრეთში გამართული შეხვედრების მიზანი ბათუმის, როგორც მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულების პოზიციონირება და ქვეყანაში ევროპელი ტურისტების მოზიდვაა.

უნგრეთი აჭარისთვის ახალი სამიზნე ტურისტული მიმართულებაა. წელს რეგიონის ტურისტული პროდუქტები აქ, ბუდაპეშტის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, აჭარაში მოგზაურობის შესახებ სტატიები და რეპორტაჟები გამოქვეყნდა უნგრულ მედიასაშუალებებში, რომლის ჟურნალისტებიც ბათუმს მედიატურის ფარგლებში სტუმრობდნენ.

მალალეფექტური ანგიოგენეზური მოქმედების პრეპარატები დაფინანსდება

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო თვალის ბადურის მძიმე დაავადებების მკურნალობის პროგრამის მოსარგებლეთა არეალს აფართოებს. სამინისტრომ თვალის ბადურის მძიმე დაავადებების მკურნალობის დაფინანსება ახალი თაობის ძვირადღირებული ანტიანგიოგენური მედიკამენტებით მიმდინარე წელს დაიწყო. პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენდნენ სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოქალაქეები



მიმდინარე წლის ივლისიდან პროგრამით სარგებლობა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის და 200 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველ ყველა მოქალაქეს შეეძლება.

„სპეციალისტების რეკომენდაციითა და უმაღლესი საბჭოს ჯანდაცვის კომიტეტის მხარდაჭერით, მიმდინარე წელს აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ დაიწყო თვალის ბადურის ძვირადღირებული, მაღალეფექტური ანგიოგენეზური მოქმედების პრეპარატების დაფინანსება. პროგრამა საპილოტე რეჟიმში ხორციელდებოდა, შესაბამისად, გათვალისწინებული იყო ვიწრო სოციალურ ჯგუფებზე. პაციენტების მომართვიანობის და მედიკამენტის მაღალეფექტურობის გათვალისწინებით, მივიღეთ მოსარგებლეთა არეალის გაფართოების გადაწყვეტილება“, - აღნიშნა მინისტრის პირველმა მოადგილე მარი ზანაქიძემ.

„აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამაში იანვრის თვეში ჩავერთე, სამინისტროს დაფინანსებით შევძელი ძვირადღირებული მედიკამენტით სარგებლობა. პროგრამაში ჩართვიდან პირველივე პროცედურის შემდეგ, მხედველობა აღმიდგა, უკვე დამოუკიდებლად გადავადგილდები“, - აღნიშნა პროგრამით მოსარგებლე შუშანა სურმანიძემ.

პროგრამის - „თვალის ბადურის მძიმე დაავადებების მკურნალობა ახალი თაობის ძვირადღირებული ანტიანგიოგენური მედიკამენტებით“ მიზანია თანამედროვე სერვისებზე პაციენტების ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკის შემცირებას, მხედველობის აღდგენას და შრომისუნარიანობის შენარჩუნებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, პაციენტებს მედიკამენტების ღირებულება სრულად უფინანსდებათ.

როდის დაიწყება საბავშვო ბაღების ავტორიზაცია?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ადრეული განათლება და ზრუნვა“ - ამ თემაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა, რომელზეც არაერთ მნიშვნელოვან საკითხსა თუ გამოწვევაზე გამახვილდა ყურადღება. თამაშზე დაფუძნებული სწავლა, თამაშზე დაფუძნებული სწავლებისთვის საჭირო პროფესიული კომპეტენციები და პროფესიული განვითარება, ინკლუზიური პრაქტიკა და თამაში, ბავშვის განვითარება: დაკვირვება, დოკუმენტირება და შეფასება, მშობლები, ოჯახები, თემი და საბავშვო ბაღი, მხარდაჭერა, თანამშრომლობა და გაძლიერება - ეს ის საკითხებია, რომელზეც ორი დღის განმავლობაში, პროფესორებმა, მკვლევარებმა, სტუდენტებმა, სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკოსებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების, გაეროს საგენტოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს. წელს კონფერენციაზე 100-ზე მეტი მოხსენება იყო წარმოდგენილი. როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილმა განაცხადა, კონფერენციის მიზანია, ხელი შეუწყოს აკადემიურ დისკუსიასა და ცოდნის გაზიარებას ადრეული განათლებისა და ზრუნვის ხარისხის, წვდომისა და ინკლუზიის საკითხებზე.

- ხარისხიან განათლებაზე ზრუნვა უნდა დაიწყოს არა ამოგლეჯილი საფეხურიდან, არამედ სწორედ ადრეული და სკოლამდელი განათლებიდან. ეს კონფერენცია, რომელიც მეორედ ტარდება ქვეყანაში და მოიცავს კონკრეტულად გაწერილ საკითხებს, ამის დასტურია. ამ ორი დღის განმავლობაში, კონფერენციაში ჩართულმა ყველა მხარემ ვისაუბრეთ იმ გრძელ გზაზე, რომელსაც მივყვებით აღნიშნული მიმართულებით. ამ ღონისძიების მნიშვნელობას კიდევ ერთხელ ზრდის ის ფაქტორი, რომ პირველად სახელმწიფომ გაიაზრა და გაისიგრძეგანა, თუ რას ნიშნავს ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იყოს განათლების ხარისხი. როგორც ვიცით, 2025 წლიდან დაიწყება სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაცია, რომლის პროცესიც გასტანს 2029 წლამდე. პირველი შემთხვევაა, რომ სახელმწიფო დაინტერესდა განათლების ხარისხით სკოლამდელ დაწესებულებებში, პირველად დარეგისტრირდა, თუ რამდენი საბავშვო ბაღია ქვეყანაში, ვგულისხმობ კერძო ბაღებს. მიმდინარე წელი მიეძღვნება ყველა საბავშვო ბაღის თვითშეფასებას, 2024 წელი დაეთმობა ანალიტიკას, თუ ვის რა ტიპის გამოწვევა აქვს, ხოლო 2025 წლიდან საავტორიზაციო გრაფიკზე განლაგდება საბავშვო ბაღები და 2029 წელს დასრულდება ეს პროცესი. იმიტომ არის ეს ვადა განსაზღვრული, რომ სკოლამდელ დაწესებულებებს, თვითშეფასების შედეგად, მიეცეთ საშუალება, რაც აქვთ გამოსასწორებელი, არა მარტო თვითონ, არამედ სხვადასხვა რგოლის ჩართულობით მოახერხონ მისი გამოსწორება. ეს არის მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროცესი, სახელმწიფო არა მხოლოდ აიდენტიფიცირებს სკოლამდელი დაწესებულებების პრობლემებს, არამედ მხარს უჭერს და შესაბამის სერვისს სთავაზობს მათ. განვმარტავ: ავტორიზაციის პროცესი, რა თქმა უნდა, შეეხება როგორც საჯარო, ისე კერძო ბაღებს, ასევე, მხარდაჭერაც. სახელმწიფო არ ანსხვავებს საჯარო და კერძო ბაღს, - განაცხადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ.

აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის მინისტრის მაია ხაჯიშვილის თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ ახალგაზრდებში ხარისხიანი განათლებისა და უნარების ჩამოყალიბება ადრეული განათლების დაწესებულებებიდან იწყება, უმნიშვნელოვანესია სწორად განსაზღვრული და თანმიმდევრულად გატარებული რეფორმები.

იხ. მე-6 გვ.

უკრაინა

უკრაინაში მებრძოლი ქართველი სამხედრო ზურაბ მუშუქია, რომლის ფრონტზე გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა, ცოცხალია. არსებული ინფორმაციით, ზურაბ მუშუქიას ოჯახთან კომუნიკაცია უკვე ჰქონდა. ცნობისთვის, უკრაინაში მებრძოლი ზურაბ მუშუქიას გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია 7 ივნისს გავრცელდა. ვრცელდებოდა ცნობები, რომ ის ბახმუტთან აფეთქებას ემსხვერპლა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება

* * *

პენტაგონი უკრაინას 2 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების გრძელვადიანი სამხედრო დახმარების ახალ პაკეტს გამოუყოფს, - ინფორმაციას Bloomberg-ი ავრცელებს. გამოცემის ცნობით, თანხა, რომელიც უკრაინის უსაფრთხოების მხარდაჭერის ინიციატივის ფარგლებში გამოიყოფა, მოხმარდება Hawk-ის სარაკეტო გამშვებების, ასევე Patriot-ის საჰაერო თავდაცვის სისტემებისთვის GEM-T და PAC-3 რაკეტების შესყიდვას.

* * *

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჯოზეფ ბორელი რუსეთს ხერსონის ოლქში დაბომბვის დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ მოუწოდებს. „ვრცელდება ცნობები დაბომბვის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის ხერსონის ოლქში უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეობის სამაშველო სამუშაოებს კახოვკის კაშხლის განადგურების შემდეგ. მოვუწოდებთ რუსეთს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ეს მიუღებელი ქმედებები. ეს შეიძლება იყოს კიდევ ერთი ომის დანაშაული. ყველა დამნაშავე პასუხს აგებს“, - დაწერა ბორელმა „ტვიტერზე“.

* * *

ხერსონის ოლქში წყლის დონემ კლება დაიწყო. წყალი დაახლოებით 20 სმ-ით შემცირდა, ადამიანებისა და ცხოველების ევაკუაცია კი გრძელდება, - ამის შესახებ ხერსონის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრ პროკუდინმა განაცხადა. „მარჯვენა სანაპიროზე წყლის დონე საშუალოდ დაახლოებით 5,38 მეტრია, ხერსონში - 5,35 მეტრი. უკვე ვხედავთ, რომ ღამით წყალმა 20 სმ-ით დაიწია. წინასწარი ინფორმაციით, ხერსონის ოლქის 32 დასახლებაში 3 624 სახლია დატბორილი“, - აღნიშნა გუბერნატორმა. მისი თქმით, ევაკუირებულია 2 352 ადამიანი და 550-მდე ცხოველი.

* * *

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, მოიპოვეს სატელეფონო ჩანაწერი, რომელიც ამტკიცებს, რომ კახოვკის ჰიდროელექტროსადგური რუსულმა დივერსიულმა ჯგუფმა ააფეთქა. „დამპყრობლებს სურდათ უკრაინის დაშანტაჟება კაშხლის აფეთქებით და მოაწყვეს კატასტროფა ჩვენი სახელმწიფოს სამხრეთ ნაწილში“, - აცხადებენ უსაფრთხოების სამსახურში. უწყებამ გაავრცელა აუდიოჩანაწერი, სადაც ორი მამაკაცი კატასტროფის შედეგებს განიხილავს. ერთ-ერთი მოსაუბრის თქმით, მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჰიდროელექტროსადგური ბირთვულ რეაქტორს აგრილებს, მეორე კი პასუხობს, რომ უკრაინელებმა ეს „საკუთარ თავს გაუკეთეს. აფეთქდება და ეგაა“, რაზეც თანამოსაუბრე პასუხობს: „ჩვენმა ბიჭებმა გააკეთეს ეს, მათ არ გაუკეთებიათ“.

* * *

შვედეთში უკრაინელმა სამხედროებმა CV90-ის ქვეითთა საბრძოლო მანქანებზე წვრთნა დაასრულეს და შინ დაბრუნდნენ. „გაზაფხულზე შვედეთის შეიარაღებული ძალების სამხედროები უკრაინელებს CV90-ის გამოყენებას ასწავლიდნენ. ისინი უკვე დაბრუნდნენ თავიანთი ქვეყნის დასაცავად“, - ნათქვამია განცხადებაში. უკრაინელ სამხედროებს შვედეთში საიდუმლო ადგილებში წვრთნიდნენ.

მოამზადა
ნაირა ზუტკარაძემ

ქედლებმა იმარჯვეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხმორისის მკვიდრი ავთანდილ ბერიძე ფრენბურთის მოყვარული და წარმატებული სპორტსმენი იყო. ქედამ წელსაც უმასპინძლა ავთანდილ ბერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღია ჩემპიონატს ფრენბურთში, რომელშიც აჭარის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქის გუნდები მონაწილეობდნენ

ქედის ნაკრებმა გუნდმა წარმატებით იასპარეზა და პირველი ადგილი დაიკავა. დასახელდა საუკეთესო მოთამაშე. აჭარის ფრენბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ხათუნა გიორგაძემ პრიზი ქედელ ლუკა არძენაძეს გადასცა.

პირველ ადგილზე გასულ ქედის გუნდს ავთანდილ ბერიძის სახელობის თასი გადაეცა, საპრიზო ადგილებზე გასული გუნდების წევრები კი მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ფრენბურთში ღია ჩემპიონატს ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და ქედის რესურსცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ტურნირი ქედის რესურსცენტრის ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

„კრემლი ასოცირდება არა მხოლოდ გენოციდთან, არამედ ეკოციდთანაც...“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

დღეს უკრაინაში იტესტება მსოფლიოს ამჟამინდელი გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობა. ერთ წელზე მეტია, დამანგრეველ ომს ვუყურებთ უკრაინაში, რუსი სამხედროები, უფრო სწორად, თანამედროვე ფაშისტები ხოცავენ უდანაშაულო ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს. დღე არ გავა, უმძიმესი ტრაგედიის შესახებ არ გავიგოთ, იავარქმნილია ქალაქები და სოფლები, ათიათასობით დახოცილი და ასიათასობით დაჭრილია, რასაც დაემატა ამას წინათ რუსების მიერ კახოვკის ელექტროსადგურის აფეთქება, რაც იმას ნიშნავს, რომ კრემლის მთავარი ამოცანაა უკრაინის როგორც სახელმწიფოს გაქრობა. მიუხედავად რუსეთის ზემოაღნიშნული ქმედებებისა, უკრაინამ შეძლო არა მხოლოდ გამკლავებოდა მათ არმიას, არამედ გაათავისუფლა დაპყრობილი ტერიტორიების ნაწილი და კონტრშეტევაზეც გადავიდა თვით რუსეთის ტერიტორიაზეც - ბელგოროდში პროუკრაინული ძალების რეიდი ამის მკაფიო მაგალითია... ამ ფონზე აქტიურდება დნესტრისპირეთის გათავისუფლების და, ასევე, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხიც. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი გიორგი კოტაძე.

- ბატონო გიორგი, ექსპერტები აცხადებენ, რომ დღეს უკრაინაში წყდება, გარკვეულწილად, ევროპის ბედი, იტესტება თუ არა რუსეთ-უკრაინის ომში მსოფლიოს მართლწესრიგის კონტურები?

- საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, რუსეთისთვის მიუღებელი იყო არსებული საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგი, რომელშიც პატარა ერებს, თუნდაც ყოფილი კოლონიები ყოფილიყვნენ ისინი, მიეცემოდათ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება. კრემლს სურდა, რუსეთის იმპერიის ყოფილი კოლონიები და საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებული გავლენის სფეროები შეენარჩუნებინა მანამ, სანამ საკმაოდ ძლიერი არ გახდებოდა და არ აღადგენდა მათზე სრულ ბატონობას. ამისათვის ქმნიდა ჯერ ლოკალურ ეთნოკონფლიქტებს და შემდგომ ერეოდა იქ. 90-იან წლებში რუსეთის მხრიდან ორგანიზებული ეთნოკონფლიქტების ფორმირება საქართველოსაც შეეხო, მოლდოვასაც და აზერბაიჯანსაც, ხოლო უკრაინაში ცოტა უფრო მეტი სამუშაო იყო გასაწევი ყირიმის ასამუშავებლად. მთელი ეს პროცესები, მათ შორის, საქართველოში რუსეთის შემოჭრა 2008 წელს, დიდი საჭადრაკო პარტიის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, რასაც საერთაშორისო წესრიგისადმი ნდობის დაკარგვა უნდა მოჰყოლოდა, სადაც ომები, დაპყრობები და პატარა ერების დამორჩილება ჩვეულ ამბად დაბრუნდებოდა. მაშინ ამას დასავლეთში კარგად ვერ მიხვდნენ, რადგან რთულად ეჯერებოდათ, რომ იარსებებდა ძალა, რომელიც იმოქმედებდა მეცხრამეტე საუკუნეში არსებული იმპერიული მსოფლმხედველობით. ამიტომაც გაუვიდა რუსეთს აგრესია საქართველოში და 2014 წელს - უკრაინაში. მაგრამ 2022 წელს, როდესაც რუსეთმა ჩათვალა, რომ შეეძლო ეხოცა მშვიდობიანი მოსახლეობა ჩეჩნეთში, სირიაში, საქართველოსა და უკრაინაში ისე, რომ ამაზე პასუხს არავინ მოსთხოვდა, შეეძლო სნაიპერები შეეყვანა მინსკში და დემონსტრაციები ჩაეხშო ყაზახეთში, შეეძლო ეკარნახა დღის წესრიგი სომხეთსა და აზერბაიჯანში ყარაბაღთან დაკავშირებით და სხვა - გადაწყვიტა სრულად დაემხრო არსებული საერთაშორისო წესრიგი და დაებრუნებინა ყოველდღიურობაში დაპყრობითი ომები. ეს კი მან უკრაინაში დაიწყო. სწორედ ამიტომაა, რომ ახლა მისი შეჩერება სტრატეგიულად მნიშნელოვანია როგორც ჩვენთვის, ისე დანარჩენი მსოფლიოსათვის, მათ შორის, იმ აგრესიული რეჟიმებისათვის, რომლებიც რუკაზე საკუთარ ძველ იმპერიებს უყურებენ ხოლმე და ხელებს იფშვნეტენ, როდის შეიცვლება არსებული სამართლებრივი წესრიგი და დაბრუნდება ძველი.

- თითქმის წელიწად-ნახევარია, რაც უკრაინაში ომი მიმდინარეობს, ახლა ომის რა ფაზაა?

- უკრაინული კონტრშეტევა დაიწყო. რუსული არმიის მხრიდან შეტევითი პოტენციალი იმდენად დაქვეითდა და უკრაინელებმა, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ეს დრო იმდენად ეფექტურად გამოიყენეს, რომ ძალთა ბალანსი აღარაა ამდენად განსხვავებული. ახლა უკრაინას შეუძლია დამაჯერებლად გადავიდეს შეტევაზე არა ერთი, არამედ რამდენიმე მიმართულებით ერთად. რომელი იქნება ძირითადი სამიზნე, რთული სათქმელია, მაგრამ აშკარაა, რამდენიმე დარტყმას ვიხილავთ ჩვენ.

- რუსეთის საოკუპაციო ჯარმა კახოვკის ელექტროსადგური ააფეთქა, ეს რისი მანიშნებელია და უკრაინელთა კონტრშეტევას რამდენად შეაფერხებს?

- რუსეთი მიმართავს ტერორიზმს, რათა დაამყაროს ტერორი და შიში არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ დანარჩენ ცივილიზებულ მსოფლიოში. კახოვკის კაშხლის აფეთქება იყო სიგნალი, რომ ის ყველაფერზეა წამსვლელი, ეს კი კრემლისათვის კონტრპროდუქტიული იქნება - მასთან მოლაპარაკების მაგიდასთან რთულადღა დაჯდება ვინმე. კრემლი ასოცირდება არა მხოლოდ გენოციდთან, არამედ ეკოციდთანაც - ბუნების მასობრივ და მიზანმიმართულ განადგურებასთან. რაც შეეხება კონტრშეტევას, ცხადია, მდინარე დნეპრის გადალახვა კახოვკა-ხერსონის მონაკვეთზე, ამ ეტაპზე ძალიან რთულ ამოცანად იქცა უკრაინელთათვის, მაგრამ გრძელვადიანად მას სხვა ეფექტიც აქვს - რუსებმა თავისივე ფორტიფიკაციები და დანაღმული სანაპიროც დაახიანეს, რომელსაც რამდნიმე თვე აგებდნენ. ამიტომ, შეიძლება ითქვას, საკუთარი თავდაცვის პირველი ხაზი ამ აფეთქებით თავად გაანეიტრალეს. მაგრამ რუსების მხრიდან სხვა გათვლა იყო, ვიდრე პირველი ხაზის უსაფრთხოება - ისინი უკრაინელთა შეტევის მოგერიებას ცდილობენ ზაპორიჟიეს ოლქში. დასვენებული და თავისუფალი დანაყოფები სწორედ ხერსონის ოლქში, მდინარის სანაპიროზე ჰყავდათ მათ. ახლა მიეცათ საშუალება, ამ ადგილიდან მოეხსნათ დანაყოფები და გადაესროლათ უკრაინული კონტრშეტევის შესაჩერებლად ზაპორიჟიეს ოლქის მთელ პერიმეტრზე, და თან ეს გააკეთეს ისე, რომ უკრაინელები მდინარე დნეპრის გადალახვას ძალიან რთულადღა შეძლებენ.

- უკრაინის კონტრშეტევა რომ ჩავარდეს, მოვლენების რა განვითარებას ელოდებით?

- გააჩნია სცენარს. თუკი უკრაინელებმა რუსების თავდაცვის პირველი ხაზი მაინც გაარღვიეს და იმდენად მიუახლოვდნენ რუსეთის მიერ ოკუპირებულ დიდ ქალაქებს, რომ ყველა მძლავრი არტილერია მისწვდა მათ, მაშინ ეს იქნება მცირე ტაქტიკური წინსვლა, მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით - წარმატებაც კი, რადგან პერმანენტული საარტილერიო დარტყმების ქვეშ მყოფი საოკუპაციო ძალები დიდი ხნით ვეღარ გაძლებენ ამა თუ იმ პოზიციაზე და კიდევ უფრო ღრმად მოუწევთ გადაჯგუფება. როდესაც უკრაინელები იმდენად მიუახლოვდნენ ხერსონს, რომ, პრაქტიკულად, ყველა რუსული დანაყოფი უკრაინული ჭურვებისა და რაკეტების დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა, ევაკუაციის გარდა სხვა გზა აღარც ჰქონდათ დარჩენილი. მაგრამ თუკი ყველაზე ცუდ სცენარს წარმოვიდგენთ, რომელშიც უკრაინელები ვერცერთ თავდაცვის ზღუდეს ვერ გაარღვევენ, მაშინ სიტუაცია არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით გართულდება, არამედ პოლიტიკურადაც. დასავლეთში უკრაინისაგან გარკვეულ შედეგებს ელიან. თუკი ამ შედეგების მიღწევა ვერ მოხერხდა, მათ მოუწევთ ან ყველა სახის შეიარაღების უწყვეტად მიწოდება და უკიდურეს შემთხვევაში უშუალოდ ჩართვაზე ფიქრიც კი (თუნდაც ფართო მასშტაბით, მოხალისეების რიგებში), ან კონფლიქტის იმგვარ დეესკალაციაზე ფიქრი, რომელიც უკრაინის ინტერესებს სრულად ვერ მოერგება. მეორე ვარიანტის ალბათობა ამ ეტაპზე ნაკლებია, მით უფრო რუსული დანაშაულებების ფონზე, ამიტომ ესკალაციის შესაძლებლობა მოიმატებს. მაღალია ალბათობა, რომ უკრაინელთა დახმარება კიდევ უფრო გაიზრდება დასავლეთის მხრიდან, მაგრამ ამის კატალიზატორი პირიქით, უკრაინელთა წარმატება იქნება და არა წარუმატებლობა.

- თუ უკრაინელთა კონტრშეტევა წარმატებული გამოდგა, ანუ გათავისუფლდა დონეცკის რეგიონი სრულად ანდა ყირიმი, რამდენად მოსალოდნელია, რუსეთმა ტაქტიკური ბირთვული იარაღი გამოიყენოს და, ამ შემთხვევაში, როგორი იქნება დასავლეთის პოზიცია?

- მოცემულ ეტაპზე, წარმატება იქნება, თუკი ზაპოროჟიეში - მელიტოპოლი ან ლუგანსკის ოლქში - სტარობილსკი იქნება გადაჭრილი. ეს იმიტომ, რომ ორივე მათგანი რუსული მომარაგების სახმელეთო ცენტრებია. მელიტოპოლი რუსულ არმიას ყირიმიდან ამარაგებს, სტარობილსკს კი რუსეთის ბელგოროდისა და ვორონეჟის ოლქებიდან უკავშირდება. უფრო დიდი წარმატება იქნება, თუკი აზოვის ზღვამდეც მოახერხებენ უკრაინელები გასვლას, ამით რუსულ არმიას ორად გაყოფენ. მაგრამ თუნდაც ისეთი ზომიერი წარმატების მიღწევაც რომ შეძლონ უკრაინელებმა, ისეთ ფრონტისპირა დასახლებებში როგორიც ტოკმაკი, პოლოჰი, ვასილივკა (ზაპორიჟიეს ოლქი) და ბახმუტია (დონეცკის ოლქი), ეს უკვე დიდი სამხედრო და ფსიქოლოგიური დარტყმა იქნება რუსეთისათვის, რადგან არაა დასავიწყებელი, რომ რუსეთს ეს ტერიტორიები ანექსირებულად აქვს გამოცხადებული, ანუ ამბობს ჩემიაო. აი, თუნდაც ეს მცირე წარმატებაც კი, ან მისი მსგავსი სხვა ოლქში რომ განხორციელდეს უკრაინელთა მხრიდან, ეს ინდიკატორი იქნება, რომ შემდგომი კონტრშეტევები არაერთგზის დაიწყოს.

- უკრაინამ ღიად განაცხადა, რომ მზადაა მოლდოვას დნესტრისპირეთიდან რუსი სამხედროების განდევნაში დაეხმაროს. თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია კიშინიოვმა კიევს დნესტრისპირეთის დეოკუპაციის მოწოდებით მიმართოს?

- დნესტრისპირეთი მკვდარი რუსული კონფლიქტია აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც პრობლემაა როგორც უკრაინისა და მოლდოვისთვის, ისე მთელი რეგიონისათვის, მათ შორის, რუმინეთისა და პოლონეთისთვისაც კი. ის კი არადა, საქართველოსათვისაც სასურველი იქნება, თუკი ის გადაიჭრება, მით უფრო, რუსეთის ზურგგამაგრებული სეპარატისტებისათვის გაკვეთილის სწავლებით. რაც მეტი მაგალითი იქნება ასეთი, მით უკეთესი საქართველოსათვის. გადაჭრას რაც შეეხება, უკრაინის გამარჯვების შემთხვევაში, დნესტრისპირეთის საკითხი აუცილებლად დადგება და თან ძალიან მალე. სულ რომ კიშინიოვს არ სურდეს ეს, უკრაინაა დაინტერესებული მის საზღვართან მდგომი რუსული სამხედრო ნაწილების სრული განადგურებით. ამასთან, ერთიცაა - უკრაინელები კარგად იცნობენ კონფლიქტს დნესტრისპირეთში. თავის დროზე მათ არცთუ კარგი როლი აქვთ ნათამაშები მის წარმოშობაში. ამიტომ ახლა მათი ერთგვარი მოვალეობაცაა ამ კონფლიქტის იმგვარი გადაჭრა, რაც უკრაინასაც არგებს და მოლდოვასაც.

- რას ისახავს მიზნად რუსეთის ტერიტორიაზე უკრაინის გახშირებული საპასუხო დარტყმები?

- ესაა ღია მანიშნებელი იმისა, რომ ომი უკვე რუსეთის ტერიტორიაზეც გადავიდა. ზოგადად, ომი მოულოდნელობებითაა სავსე. ამიტომაა, რომ ნებისმიერი სცენარი განსახილველია, როგორ დაუჯერებლადაც არ უნდა ეღერდეს ის. ყველაზე ცუდ სცენარშიც კი - თუკი უკრაინა ვერ განახორციელებს ეფექტურ წინსვლას საკუთარ ტერიტორიაზე, მცდელობა, რომ პროუკრაინულმა ძალებმა შეძლონ რუსეთის ტერიტორიების ოკუპაცია და შემდგომ დაიწყოს მის გაცვლაზე საუბარი, არ იქნება გამორიცხული. ეს ყველაფერი - ჰიპოთეტურად და თანაც სტრატეგიულ, ანუ გრძელვადიან ხედვაში. ზოგადად, რუსეთს თავის ტერიტორიაზე უფრო სუსტი სამხედრო ძალები ჰყავს, ვიდრე უკრაინის ტერიტორიაზე. კრემლმა ფსონი დადო იმაზე, რომ უკრაინელები და პროუკრაინული რუსული ძალები ვერ გაბედავდნენ მასზე თავდასხმას. მაგრამ ფაქტია, შეცდნენ. ამასთან, უკრაინის უშიშროების უფროსი კირილო ბუდანოვია, რომელიც ყველაზე დაუჯერებელ სცენარებსაც კი განიხილავს ხოლმე, თუმცა, მოცემულ ეტაპზე, მოკლევადიან პერსპექტივაში. რუსეთის ტერიტორიაზე შეჭრა სხვა მიზანსაც ემსახურება: იმას, რომ რუსეთის დამარცხება შესაძლებელია და უძლეველობის ცნება მხოლოდ მითია; და იმას, რომ კრემლმა უკრაინიდან სამხედროები ბელგოროდის დასაცავად გადაისროლოს, რითაც უკრაინელებს მოქმედების მეტი თავისუფლება ექნებათ.

- ეს ომი არც წელს და არც მომავალ წელს დასრულდება, ყოველ შემთხვევაში, ასეთ მოსაზრებას აფიქსირებს ანალიტიკოსთა ნაწილი, თქვენი აზრი ამის შესახებ?

იხ. მე-7 გვ.

უცხოეთი

ორშაბათს თეთრ სახლში აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენისა და ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგის შეხვედრა გაიმართება. მხარეები განიხილავენ ნატოს ვილნიუსის სამიტს, რომელიც ივლისში ჩატარდება, ასევე, მუშაობას შეკავებისა და თავდაცვის შემდგომ გაძლიერებაზე და უკრაინის მხარდაჭერას რუსეთის სასტიკი აგრესიული ომის ფონზე.

* * *

საშიშ სამყაროში ვცხოვრობთ, გვერდით გვყავს რუსეთი, რომელიც მზად არის, მეზობლების წინააღმდეგ სამხედრო ძალა გამოიყენოს, რაც 2008 წელს საქართველოთი დაიწყო, - ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა. მისი თქმით, ნატო ნამდვილად ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობას, თუმცა ამ უკანასკნელმა საკუთარი ქმედებებით საქართველოს, უკრაინისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, თავისი გავლენის სფეროების დამყარება სცადა. „ფუნდამენტურად, რისიც პრეზიდენტ პუტინს ეშინია, არის არა ნატო, არამედ თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოებები, რომლებიც ძირს უთხრიან მის ძალაუფლებას მოსკოვში“, - განაცხადა სტოლტენბერგმა.

* * *

გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი და პოლონეთის პრეზიდენტი ანჯეი დუდა მომავალ კვირაში საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს შეხვდებიან. პარიზში ყურადღება გამახვილდება ნატოში გაწევრიანებისკენ უკრაინის სწრაფვასა და მოკავშირეებისგან უსაფრთხოების გარანტიებზე. გასულ კვირას მაკრონმა მოკავშირეებს მოუწოდა, უკრაინას „მტკიცე, კონკრეტული და ხელშესახები“ უსაფრთხოების გარანტიები მისცენ და განაცხადა, რომ ქვეყანას უნდა შესთავაზოს „ნატოში გაწევრიანების გზა“. ხოლო შოლცმა თქვა, რომ აქცენტი არა წევრობაზე, არამედ უკრაინის ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე უნდა გაკეთდეს. სამი ქვეყნის ლიდერები შეხვედრაზე სხვა საკითხებსაც განიხილავენ, მათ შორის, ევროპის სუვერენიტეტსა და თავდაცვას.

* * *

ევროკომისია „რუსული გავლენის“ კანონის გამო პოლონეთის წინააღმდეგ სამართლებრივ მოქმედებას იწყებს. პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ გასულ კვირას ხელი მოაწერა კანონს, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის ბიზნესში, პოლიტიკასა და მედიაში 2007-2022 წლებში პოტენციური რუსული გავლენის გამოაშკარავებას. აღნიშნულის შემდეგ ევროკომისიამ და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელეს კრიტიკული განცხადებები, სადაც გამოხატეს სერიოზული შეშფოთება პოლონეთის დემოკრატიასთან დაკავშირებით. ბრიუსელი წუხს, რომ ახალი კანონი შეიძლება გამოყენებული იყოს ოპოზიციონერების წინააღმდეგ პოლონეთში მიმდინარე წლის ბოლოს, საყოველთაო არჩევნების წინ.

* * *

ტყის ხანძარმა კანადაში 3.8 მილიონ ჰექტარზე მეტი ტერიტორია გაანადგურა. ადგილობრივი მეხანძრეების დასახმარებლად 600-ზე მეტი ამერიკელი მეხანძრე გაიგზავნა. კანადის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ ადამიანებმა უნდა ატარონ პირბადეები, თუ მათ არ შეუძლიათ დარჩნენ შენობაში. კვებეკში ხანძრის 150 კერაა.

მოამზადა
ია შველიძემ

რა იწვევს მოზარდებში აგრესიას და როგორ უნდა მოიქცეს მშობელი?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

თინეიჯერების ბრაზი მშობლების, ან თანატოლების მიმართ, ზოგჯერ ძალადობრივ ქცევად გარდაიქმნება

*რა არის ყველაზე ხშირად მოზარდების ბრაზის მიზეზი და რის გაკეთება შეუძლია მშობელს? - ამ თემაზე სასაუბროდ ბავშვთა ფსიქოლოგი **ქეთი დევაძე** მოვიწვიეთ, რომელიც ძალადობის მსხვერპლ ბავშვებსა და მათ მშობლებთან მუშაობს.*

- ქალბატონო ქეთი, რატომ არის ბრაზი და აგრესია ხშირი მოზარდობისას?

- დავიწყოთ იმით, რომ მოზარდობის ხანა ყველაზე რთულია იმ პერიოდებს შორის, რომლებსაც გადის ადამიანი ცხოვრების განმავლობაში. ეს არის ბავშვობიდან ზრდასრულობაში გადასვლის ეტაპი, როდესაც სქესობრივი მომწიფება იწყება. ძალიან რთული პერიოდია საიმისოდ, რომ სხეული და ფსიქიკა ჰარმონიაში მოვიდეს ერთმანეთთან. ფსიქიკური პროცესები საკმაოდ რთულად მიმდინარეობს, სხეულშიც უამრავი რთული პროცესია, ამიტომ მოზარდები განწყობილნი არიან დაძაბულობისა და ემოციური არასტაბილურობისკენ. შესაბამისად, ისინი ხშირად ბრაზდებიან, სწყინთ და ზოგჯერ ამას არასწორი ფორმით გამოხატავენ. ბრაზდებიან იმაზე, რომ ზედმეტად ვერევით მათ პირად ცხოვრებაში. უფროსები ჯერ კიდევ ვერ ვიაზრებთ, რომ ისინი უკვე ემზადებიან ზრდასრული ცხოვრებისთვის და დამოუკიდებლად სურთ გადაწყვეტილებების მიღება, რაც შემდგომი პერიოდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია. მიუხედავად ამისა, ყოველთვის ვცდილობთ, ჩვენი მზრუნველობით დავიცვათ ისინი ყველა განსაცდელისგან, შეცდომისგან, თავიდან ავაცილოთ ეს ცხოვრებისეული გამოცდა, რომლითაც ისინი გამოცდილებას იღებენ. ბრაზისა და აგრესიის დაგროვების მიზეზი დიდწილად ისაა, რომ მათ შეზღუდული აქვთ ფიზიკური აქტივობა. თანამედროვე ცხოვრებამ მოგვიტანა ის, რომ ჩვენი მოზარდები ძირითადად სხედან - სკოლაში, სახლსა და ინტერნეტსივრცეში, შესაბამისად, ის ჭარბი ენერგია, რომელიც მათ ზღვა დოზით აქვთ ორგანიზმში და მოძრაობაში, აქტივობაში უნდა დაიხარჯოს, ვერ და არ იხარჯება, ილექება, რაც შემდგომში შფოთვად გადაიქცევა. ეს იწვევს იმას, რომ ისინი ვერ ერკვევიან საკუთარ გრძნობებში, რადგან შფოთვას არასოდეს აქვს მიზეზი, ეს არის უმიზეზო შიში. მოზარდები იძაბებიან, დაძაბული მოზარდი კი ძალიან იოლად ბრაზდება, მალე სწყინს და ამას გამოხატავს შესაბამისი, ძალიან აქტიური ფორმით - ყვირილით, ჩხუბით, შეიძლება, რაღაცების მსხვრევითაც კი.

- რა შემთხვევაში ხედავს მშობელი პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროებას?

- ბავშვთა მიმართ ძალადობა ისევ ტაბუირებულ თემად რჩება. ხშირად მოგვმართავს სოციალური მომსახურების სააგენტო, განსაკუთრებით მაშინ, როცა განქორწინების შემთხვევაა და საჭიროა ფსიქოლოგის დასკვნა მეურვეობის განსაზღვრისთვის. როცა პირდაპირ ჩვენთან მოჰყავთ ძალადობის მსხვერპლი, დადასტურების შემთხვევაში, ვაწვდით ინფორმაციას სოციალური მომსახურების სააგენტოს. იყო შემთხვევები, როცა ძალადობის მსხვერპლი ბავშვი თავად მოძალადე მშობელმა მოიყვანა. მშობელი ამბობს, რომ ემოციური ფონი დაძაბული აქვს, უჭირს საკუთარი თავის კონტროლი და დახმარება სჭირდება. ძირითადად კარგი შედეგი აქვს ფსიქოლოგიურ თერაპიას, რადგან მშობელი მოდის უკვე აღიარებით, „განკურნების“

ერთ-ერთი ეტაპი კი ისაა, პრობლემას თვალი გაუსწორო. ყოფილა ისეც, რომ მშობელს უთქვამს, ბავშვი მორცხვია, მორიდებულიო, გასაუბრების შემდეგ კი აღმოჩნდება - ბავშვი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია. ამის შემდეგ ხშირად წყვეტენ თერაპიის კურსს. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ვინმეს ფსიქოლოგიური დახმარების მიღება ვაიძულოთ. ამ დროს პროცესში სოციალური მუშაკები ერთვებიან. საერთო ტენდენცია ისაა, რომ არავის სურს ბავშვის ფსიქოლოგთან ვიზიტის გასაჯაროება. ერთ-ერთმა აღნიშნა კიდეც: დედამ გამაფრთხილა, ფსიქოლოგთან რომ დავდივართ, არავისთან თქვაო.

- ძირითადად რატომ ძალადობს მშობელი შვილზე?

- მიზეზი ყოველთვის სხვადასხვაა. სტერეოტიპია, რომ ძალადობა მხოლოდ სოციალურად დაუცველ ოჯახებში ხდება, თუმცა ერთ-ერთი წამყვანი მიზეზი მაინც მძიმე სოციალური ფონი და დაძაბული ემოციური გარემოა. განქორწინების პროცესში, თითქმის ყოველთვის, ბავშვი განიცდის ცუდ ზეგავლენას. ამ დროს მშობლები თავად მოგვმართავენ. ყოფილა შემთხვევა, როცა ჩვენთან ვიზიტი მშობელმა დაასრულა და შემდეგ ისევ დაფიქსირდა ძალადობის ფაქტი. ამ დროს ბავშვი სოციალურ მუშაკებს ოჯახიდან მინდობით აღზრდაში გადაჰყავთ. აქვე აღვნიშნავ - ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას განაპირობებს არა მხოლოდ ადამიანის ფსიქოლოგიური მახასიათებლები, არამედ გარემო და კონკრეტული სიტუაციაც. შესაძლებელია, ერთ გარემოში გამოვლენილი ქცევა სხვა გარემოში აღარ განმეორდეს. გვაქვს შემთხვევები, როცა მუშაობამ და თერაპიამ კარგი შედეგი გამოიღო... გააჩნია ინდივიდსა და სიტუაციას. ვერ ვიტყვით, რომ ყოველთვის ამართლებს თერაპია.

- ბულინგის კუთხით თუ მოუმართავთ თქვენთვის?

- როგორ არა. ასეთი შემთხვევა გვქონდა უნივერსიტეტშიც. რაც შეეხება სკოლებს, ხშირად მოდის მშობელი და ამბობს, რომ მის შვილს დასცინიან. არსებობს სტერეოტიპი, რომ მხოლოდ სუსტი ბავშვები ხდებიან ბულინგის მსხვერპლნი. ასე არ არის. ნებისმიერი ბავშვი, მათ შორის, წარმატებული და ლიდერიც შეიძლება გახდეს მსხვერპლი. მთავარია, ბავშვებს არ შეეშინდეთ, არ იგრძნონ გარიყულად თავი, მათ უნდა გაბედონ ამაზე საუბარი, პირველ რიგში, მშობლებთან. მათ მივმართავ, იყვნენ ბავშვებთან განსაკუთრებულად ღია, რომ არ გამოეპაროთ მსგავსი პრობლემები. სკოლები ხშირად ამ ინფორმაციას არ ასაჯაროებენ. მქონია შემთხვევა, როცა მოსწავლეს შევთავაზე, მოდი, ამის შესახებ დირექტორისთვის გვეთქვა, პასუხად მივიღე, რომ დირექტორმა ყველაფერი იცის და რეაქცია არ ჰქონიაო.

- სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან გმუშავიათ?

- მათთან ახლაც ვმუშაობთ. აქაც არსებობს მითი, რომ მხოლოდ სოციალურად დაუცველი ბავშვი შეიძლება გახდეს მსხვერპლი. ძირითად, მოძალადე ბავშვისთვის კარგად ნაცნობი ადამიანია და ამ დანაშაულს ახასიათებს განმეორება. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გამოირჩევა დაუცველობის განცდით. მას აქვს შეხედულება, რომ არავინ დაუჯერებს, ხოლო მოძალადე ეუბნება, რომ ეს მხოლოდ მათი საიდუმლოა. „საიდუმლო“ - ერთგვარი გასაღები სიტყვაა ამ პროცესში. ამ დროს ბავშვი ჩაკეტილია საკუთარ თავში და გაურბის კონტაქტს გარესამყაროსთან. ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ მას დაემართა, აქვს განცდა, რომ თავად არის დამნაშავე.

- რამდენად შესაძლებელია, ბავშვი იგონებდეს ძალადობის ისტორიას?

- ზოგადად, ბავშვი ძალიან იშვიათად იტყუება სექსუალური ძალადობის შესახებ. ამგვარი მსხვერპლის როლის მორგება რთულია და ეს არაა მათთვის სასურველი. მან შეიძლება მოირგოს ფიზიკური ძალადობის მსხვერპლის როლი, თუმცა, არა - სექსუალურის.

- თქვენი აზრით, რა უნდა იყოს დასჯის ეფექტური მექანიზმი?

- მთავარია, საზოგადოების დამოკიდებულება შეიცვალოს ძალადობის მიმართ. ისევ ხშირია შემთხვევა, როცა მშობელი შვილის ცემას პრობლემად არ მიიჩნევს. ერთმა დედამ მითხრა, რამდენჯერ უნდა ვცემო შვილი, მაინც არაფერი შველისო. ჩვენს კულტურაში მთავარია, ბავშვს კარგად და სუფთად ეცვას, იყოს მოვლილი, თმა შეჭრილი ჰქონდეს, არ შიოდეს და არა ის, თუ რას ფიქრობს, რას გრძნობს, როგორ არის. ხშირად ბავშვებს უკვირთ, როცა ვეკითხები: რას გრძნობ? ეს შეკითხვა მათთვის ძალიან უცხოა. რომ დავინტერესდეთ, რას გრძნობს ბავშვი, ბევრ ცუდ რამეს ავირიდებთ თავიდან: ბულინგს, დეპრესიას, სუიციდის მცდელობას...

- ხშირად გვესმის, რომ მოზარდმა მშობელზე იძალადა. ამ აგრესიის მიზეზი რა არის?

- ხშირია მომართვა ბავშვთა აგრესიის კუთხით, ეს ეხება როგორც გოგონებს, ასევე ბიჭებს და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს. ჩვენ ვიკვლევთ თითოეულ შემთხვევას, საიდან მოდის ეს აგრესია - აღმოჩნდა, რომ უმეტეს შემთხვევაში, დასწავლილ აგრესიასთან გვაქვს საქმე. ბავშვი მარტივად და კარგად ითვისებს იმას, რაც მის ოჯახში, მის გარშემო ხდება და შემდეგ ახორციელებს, სადაც ამის შესაძლებლობა მიეცემა - თანატოლთან, ცხოველთან, მშობელთან... ერთი მოზარდი მუდმივად უყურებდა, როგორ ძალადობდა მამა დედაზე, მამის გარდაცვალების შემდეგ მოზარდმა ძალიან მალე მამის როლი მოირგო და დედას სცემდა. მან დაისწავლა ქცევის ეს ფორმა. ის არ მიიჩნევდა, რომ ეს მისაღები იყო, მაგრამ მან ქცევის მხოლოდ ეს ფორმა იცოდა. ყოველთვის ვეუბნები მშობელს, რომ არ აჩვენოს აგრესია შვილს, არ დასაჯოს არასდროს ფიზიკურად. ბავშვს თმა რომ მოქაჩო, ამით ფიზიკურად არაფერი უშავდება, მაგრამ ამგვარი მიდგომით მას ვასწავლით, რომ თუ ვინმეს ვერ იმორჩილებ, აგრესიით უნდა მოაგვაროო პრობლემა. ჩვენი საზოგადოებაც, ზოგადად, ამას ასწავლის ბავშვს. როცა მშობელს ამის შესახებ ესაუბრები, გპასუხობს: ჩვენც ასე გავიზარდეთ და არაფერი ცუდი არ მომხდარაო. ამ თემაზე აქტიურად და კარგად მედიამ უნდა იმუშაოს.

- როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, როცა იგებს, რომ მისი შვილი სხვებზე ძალადობს?

- საერთოდ, უნდა ვეცადოთ, ბავშვებს პატარაობიდანვე გავუღვივოთ ემპათიის გრძნობა. თუ მას შეუძლია სხვისი ემოციები გაითავისოს და სხვისი ტკივილი ეტკინოს, ის არასოდეს იქნება მოძალადე. თუ მოზარდი მუდმივად ძალადობრივი გზით ცდილობს თავის დამკვიდრებას საზოგადოებაში, საუკეთესო ვარიანტია, რომ მშობელმა მიმართოს ფსიქოლოგს, თუმცა, სამწუხაროდ, ამის საშუალება არ არის ყოველთვის. მშობელს შეუძლია მოზარდს მშვიდად, წყნარად გაესაუბროს, არ უნდა იძახოს „ჩემმა შვილმა ეს რატომ უნდა გააკეთოს? მე რატომ გამიკეთე ეს? რა დაგაკელი? არ ვიმსახურებ...“ - ყოველთვის ჩვენ ნუ ვიქნებით ეპიცენტრში. უნდა განვიხილოთ სიტუაცია, ჯერ უნდა მივიღოთ ფაქტი, რომ ჩვენი შვილი ამას აკეთებს, შემდეგ უნდა გავიგოთ, რა მიზანი აქვს მის საქციელს და რით შეიძლება ეს ქცევა ჩავანაცვლოთ. ხშირად ვურჩევ მშობლებს, დაიკავონ მოზარდი სპორტით. დავუშვათ, ბავშვს უნდოდა კარატე, დედა მეუბნება, ვერ შევიყვან კარატეზე, რადგან ისედაც ყველას სცემსო. მე ვეუბნები: პირიქით - შეიყვანეთ, ასე უკვე მიზანმიმართულად დახარჯავს ენერგიას, თანაც, როდესაც კარატეზე დადიან ბავშვები, იქ აქვთ თავიანთი კოდექსი, წესები. იმ კოდექსს დაიცავს ბავშვი და სხვას არ დაუაზიანებს ამ ძალით და შინაგანი დიდი ენერგეტიკით, რომელიც შეიძლება ბრაზიც იყოს, წყენაც და მრისხანებაც. დავეხმაროთ მოზარდს, სწორად, მიზანმიმართულად მივმართოთ ეს ენერგია. სამწუხაროდ, ბოლო დროს გოგონებს შორისაც ხშირია ფიზიკური დაპირისპირება. ეს ყველაფერი მაშინ ხდება, როცა მოზარდს დაბალი თვითშეფასება აქვს და თვითრეალიზების საშუალებას ვერ პოულობს. ყოველთვის საჭიროა ბავშვს, მოზარდს მოვუსმინოთ, მივცეთ მას თვითრეალიზების საშუალება. არასწორია, როცა მოზარდს სპორტზე უნდა სიარული და ჩვენ ვაძალებთ ცეკვას. შეიძლება მას უნდა, თანამედროვე ცეკვებზე იაროს, ჩვენ - ქართულ ცეკვას ვაძალებთ. აი, ეს იწვევს უთანხმოებას მშობელსა და შვილს შორის, ამ დროს ერთ ენაზე ვეღარ ვსაუბრობთ, სხვადასხვა ენაზე საუბრით კი მათთან ურთიერთობას ვკარგავთ, ვწყვეტთ. შესაბამისად, ჩვენ აღარ ვართ მისთვის ქცევის მოდელი. 7-8 წლის მერე ბავშვებში ისედაც ის მექანიზმი ირთვება, რომ „მშობელმა არაფერი იცის“. ამის ფონზე კიდევ რომ ვყვირით, ვეჩხუბებით და არ ვუსმენთ მათ, ნიშნავს, რომ ვკარგავთ საკუთარ შვილებს. ძალით და ძალადობრივად საქმეს ვერასოდეს მოვაგვარებთ შვილებთან. ხშირად ვცდილობთ, ვუყვიროთ, დავაძალოთ და ისე ვაკეთებინოთ რაღაც. ეს სწორი არაა, თუმცა ეს არ ნიშნავს, მოზარდებს არ უნდა ჰქონდეთ გარკვეული წესები, რომელთაც ჩვენ უნდა მივყვებოდეთ. მთავარია, ვიყოთ თანმიმდევრულები, დავუწესოთ წესები, მოვითხოვოთ მათი შესრულება, წავახალისოთ, შევიმჩნიოთ, როცა ისინი კარგად იქცევიან, აღვნიშნოთ. მხოლოდ შენიშვნებით არ შემოვიფარგლოთ - ეს ხშირად ახალისებს აგრესიას მოზარდებში.

- მშობელთან ახლო კომუნიკაცია თუ არის გამოსავალი?

- მქონია შემთხვევა, როცა ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს მშობელთან ბავშვს, მაგრამ ამ თემაზე მშობელს მაინც არ ესაუბრა. ხშირად ბავშვი აცნობიერებს რაც მოხდა, მაგრამ არ აქვს მხარდაჭერის იმედი ან ეშინია. უმეტეს შემთხვევაში, ბავშვს ემუქრება მოძალადე, ეუბნება, რომ მას მაინც არ დაუჯერებენ და, უბრალოდ, შერცხვენილი დარჩება. სამწუხაროდ, ეს ასეც არის რეალობაში - გვაქვს ისტორიები, როცა პირიქით, ბავშვი დაადანაშაულეს ცილისწამებაში. ხშირად გვესმის მშობლებისგან საყვედური - ეს ბავშვმა აქამდე როგორ არ თქვა. შესაძლებელია, ბავშვი დაადანაშაულოს დედამ, ბებიამ, ბაბუამ, როცა მოძალადე არის მამა და ეს გამოძიებით დადასტურებულია. მშობლები ამ დროს გამუდმებით იმეორებენ, რომ მოძალადე ამას არ გააკეთებდა, რომ ეს შეუძლებელია.

პირდაპირი ინვესტიციები - უცხოეთიდან

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2023 წლის I კვარტალში, წინასწარი მონაცემებით, 496,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ამავე პერიოდის წინასწარ მონაცემებზე 13,7 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2022 წლის მე-4 კვარტალის მონაცემებს 53,3 პროცენტით აღემატება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, ხუთი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის (მათ შორის რუსეთიცაა) წილი ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 87,1 პროცენტს შეადგენს.

„საქსტატის“ ცნობით, ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა ნიდერლანდები (239,6 მლნ აშშ დოლარი), მეორეზე - იაპონია (6322 მლნ აშშ დოლარი), მესამეზე - აშშ (54,7 მლნ აშშ დოლარი), მე-4 და მე-5 პოზიციებს კი თურქეთი და რუსეთი იკავებენ, საიდანაც, შესაბამისად, 47 მლნ და 28,2 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა.

„ბიზნესპრესნიუსისთვის“ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რუსეთიდან ყველაზე მეტი - 13,328 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების დარგში განხორციელდა.

აი, ტოპ-10 სექტორი, რომლებშიც 2023 წლის I კვარტალში რუსეთიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხორციელდა:

საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 13 328 200 აშშ დოლარი;

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები - 4 554 000 აშშ დოლარი;

ინფორმაცია და კომუნიკაცია - 3 679 000 აშშ დოლარი;

მშენებლობა - 2 202 100 აშშ დოლარი;

საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი - 1 284 600 აშშ დოლარი;

ხელოვნება, გართობა და დასვენება - 1 185 500 აშს დოლარი;

დამამუშავებელი მრეწველობა - 678 400 აშშ დოლარი;

პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები - 635 400 აშშ დოლარი;

ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები - 236 500 აშშ დოლარი;

სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა - 170 600 აშშ დოლარი.

ამირან გურიელიძე

„ჩემი საქმიანობის ქვაკუთხედი მდიდარი წარსულის გაცოცხლებაა“

ხულოს სახელოვნებო სკოლასთან წლებია ანსამბლი „ციცინათელა“ მოქმედებს, რომლის ხელმძღვანელია ლოტბარი მანანა მელაძე. მისი ხელმძღვანელობით ახალი ანსამბლი „მერცხალი“ ჩამოყალიბდა. ანსამბლების საქმიანობასა და პირად ცხოვრებაზე „აჭარასთან“ მანანა მელაძე საუბრობს

- ქალბატონო მანანა, რა ადგილი აქვს მუსიკას თქვენს საქმიანობაში?

- მუსიკა ჩემთვის აზროვნების წყაროა. მის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. იგი ისეთივეა, როგორც პოეტისთვის მუზა. ბავშვობიდანვე მუსიკით ვიყავი გატაცებული და ასე მოვისაკლისებ წუთისოფელს. ეს გენეტიკური მახასიათებელია. მუსიკისა და ფოლკლორის განვითარებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ცეკვა-სიმღერის უბადლო ოსტატმა, ხულოელმა, გვარის ეტალონმა თოფან მელაძემ. მას კოლეგიალური დამოკიდებულება ჰქონდა გურულ ერქმაიშვილებთან, ფოლკლორის ადგილობრივ ოსტატებთან. მის ნაკვალევზე თაობები გავიზარდეთ. სოფელში ქორწილი, ადგილობრივი შემსრულებლების დათვალიერებები სხვა სანახაობითი ღონისძიება, რომ იმართებოდა, ბებია, დედა აქტიურობდნენ. მათ ცეკვა და სიმღერა ერთნაირად უხდებოდათ. მუსიკით ჩემი გატაცება ბებიის დამსახურებაა. ზამთრის გრძელ ღამეებში გვერდით დამიჯდებოდა, მღეროდა და მეც ავყვებოდი.

- ვისი იდეა იყო ანსამბლ „ციცინათელას“ დაარსება?

- წლებია, ხულოს სახელოვნებო სკოლას ცნობილი მხატვრის სიმონ ართმელაძის ქალიშვილი ესმა ხელმძღვანელობს. მისი მეუღლე რეზო აბულაძე უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბერმუხას“ სამხატვრო ხელმძღვანელია. მათგან წამოვიდა იდეა, სახელოვნებო სკოლასთან ბავშვთა ანსამბლი „ციცინათელა“ ჩამოყალიბებულიყო. ხელმძღვანელობა მე შემომთავაზეს. უარს ვერ ვიტყოდი. 2009 წლიდან მე და „ციცინათელები“ ერთად მოვდივართ. 30-მდე სიგელი, ოლიმპიადებსა და ფესტივალებზე გამარჯვებულის დიპლომებია ჩვენი მონაგარი.

- როდის გავიდა „ციცინათელა“ ხულოს ფარგლებს გარეთ?

- საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი ის ეროვნული საქმეები, რასაც სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი, მეუფე სპირიდონი ნინოწმინდაში აკეთებდა. მან ჩვენი გამოსვლა ხიჭაურში, ერთ-ერთ ღონისძიებაზე ნახა და ამის შემდეგ სულ ნინოწმინდაში გვიწვევდა. ბავშვები იქ სკოლა-პანსიონის აღსაზრდელებს დაუმეგობრდნენ. მართალია, ორი წელია აღარ წავსულვართ, მაგრამ ერთხელ გაბმული მეგობრობის სიმები არ გაწყვეტილა.

- ანსამბლის რეპერტუარს თავად ირჩევთ, თუ სხვისგან იღებთ კონსულტაციებს?

- არც საწყის ეტაპზე და არც შემდეგ, სახელოვნებო სკოლის ხელმძღვანელობა რეპერტუარის შერჩევაში არ გვერევა, რაც კარგი და მისასალმებელია. მეც და ანსამბლის წევრებს გვაქვს მოტივაცია, რომ მოვიძიოთ, დავამუშაოთ და საზოგადოებას ის სიმღერები წარვუდგინოთ, რაც ადგილობრივი და ეროვნული ფოლკლორისთვისაა მახასიათებელი.

- წელს მოსწავლეთა ოლიმპიადაზე აღიარება მოიპოვეთ...

- ვიზიარებ ცნობილი ხელოვანების აზრს, რომ წარმატების მომტანი იყო და იქნება ადგილობრივი ფოლკლორის წარმოჩენა. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარებულ სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლების შემაჯამებელ დათვალიერებაზე „ციცინათელას“ ხელმძღვანელს მელიტონ კუხიანიძის სახელობის აკადემიურ ანსამბლ „არსიანის“ სპეციალური პრიზი მერგო, რაც სასიამოვნო და სტიმულის მიმცემია, პირველ რიგში, ანსამბლის წევრებისთვის. ეს აღიარება სიმღერა „ხერტლის ნადურმა“ მოგვიტანა.

- რა ნიშნით ჩამოაყალიბეთ ახალი ანსამბლი „მერცხალი“?

- წუთისოფელში ყველაფერი ვითარდება, ახალი ფეხს იკიდებს. ანსამბლ „მერცხალის“ შექმნის პირველ ეტაპზე ხალხურ საკრავებზე სხვადასხვა კუთხის სიმღერების შესწავლა დავისახეთ მიზნად, მაგრამ მიზანმა ვერ გაამართლა და ისევ ადგილობრივ ფოლკლორზე გადავიტანეთ აქცენტი. პირველად „სელიმობის“ სახალხო დღესასწაულზე გამოვედით და წარმატებითაც - მოზეიმეთა ოვაციები არ მოგვკლებია.

- „ციცინათელები“ უკვე დაფრთიანდნენ...

- ამ ანსამბლს ისეთი მყარი საფუძველი აქვს, რომ მასთან განშორებას, ხელმძღვანელობის სხვისთვის გადაბარებას გულშიც არ გავივლებ, 14 წელი მაკავშირებს მასთან. ბავშვები, რომლებთან ერთად სცენაზე პირველად გამოვედი, უკვე დედები და საჯარო მოსამსახურეები არიან. რამდენიმე მათგანი ხელოვნების ერთგული რჩება. უფრო მეტიც - ახლანდელი წევრებიდან ორი კონსერვატორიაში ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად ემზადება.

- შემოქმედებითი საქმიანობა როგორ გიფასდებათ?

- შორს რომ არ წავიდე, მარტო წლევანდელი აღიარებაც საკმარისია. ვინც საქმეს აკეთებს, ჩრდილში არ რჩება, რაც უნდა მოშურნე ჰყავდეს. სანთელ-საკმეველი თავის გზას არ კარგავს. უფლის წყალობითა და კეთილი, საქმიანობის დამნახავი და დამფასებელი ადამიანების თანადგომით, ახალ სიმაღლეებზე ავდივარ.

- „მერცხალის“ რეპერტუარში ადგილობრივი ფოლკლორი შევიტანეთო, აღნიშნეთ...

- წუთისოფლიდან მიდიან ხულოში მომუშავე ხელოვანები, რაც ძალიან გულდასაწყვეტია. შევეცადე მათი შემოქმედებიდან მაქსიმუმი გადმომეღო და ანსამბლ „მერცხალის“ რეპერტუარში შემეტანა - ღორჯომისა და სხალთის ხეობებში კიდევ მრავალი ფოლკლორული ნიმუშის დაძებნაა შესაძლებელი.

- თქვენი შვილები თუ არიან მუსიკით დაინტერესებული?

- ისინი ჯერ პატარები არიან, მაგრამ დედის საქმიანობისადმი მოკრძალებულ დამოკიდებულებას იჩენენ. არაფერში არ ვზღუდავ, არჩევანი მათზეა, მშობლებისგან მიღებულ ცოდნას კი აუცილებლად გადავუნაწილებ.

- წარმატებულ ადამიანებს გზა ყველგან ხსნილი აქვთ. სხვაგან გადასვლა რომ შემოგთავაზონ, რა გზას დაადგებოდით?

- ჩემი საქმიანობის ქვაკუთხედი მდიდარი წარსულის გაცოცხლებაა. ეს საქმე ისე ჭეშმარიტად, ეროვნულად, თუნდაც მარტივად, არსად გამოვა როგორც ხულოში. ყველა ადამიანი ამქვეყნად სახელის დატოვებისთვის იბრძვის. ჩემთვის უდიდესი პატივია, როცა ხულოს ქუჩებში მიმავალს ღიმილით მესალმებიან, სოფლის ორღობეებში გზას მითმობენ. მე ამ ადამიანების, გამორჩეულად, ხულოელების წინაშე, ვალში ვარ, ჯერ შესაძლებლობის მინიმუმიც არ გამიკეთებია. ასე რომ...

- თქვენს მშობლიურ სოფელ გაშლოვანში სიმღერისა და ცეკვის მოტრფიალენი მრავლად არიან. მათთან რა დამოკიდებულება გაქვთ?

- თოფან მელაძე ვახსენე. იგი ერთადერთი რომ იყოს, ბევრი სათქმელიც და საამაყოც არ მექნებოდა. ზედა ვაშლოვანის საჯარო სკოლასთან სიმღერის სანიმუშო ანსამბლი მოქმედებს. ხულოს ფარგლებს გარეთ კარგად იცნობენ ვაშლოვანში არსებულ ქალთა ანსამბლს. ბევრს მათგანაც ვსწავლობ და გამდიდრებული ვარიანტით სცენაზე გამომაქვს.

- მუსიკალურ ინსტრუმენტებზე (ფანდური, აკორდეონი) მაღალ დონეზე უკრავთ. როდის დაეუფლეთ?

- კვალიფიციური განათლება ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელში მივიღე ვოკალის სპეციალობით. ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრის ხელოვნებას კი დამოუკიდებლად ვეზიარე.

- რა არის მთავარი იმისთვის, რომ ეროვნული ფოლკლორი ცოცხლობდეს და ვითარდებოდეს?

- ფოლკლორი ერის, კუთხის, იქ მცხოვრები ადამიანების სულისა და სხეულის ნაწილია. არც ერთი ერის ისტორიაში, მის ყოფით კულტურაში სიმღერა ისე არ ფასობს, როგორც საქართველოში. ბევრგან ხალხური ცეკვა-სიმღერა საერთოდ მივიწყებულია. საქართველოს 12-ივე კუთხეში ფოლკლორი განსხვავებულია, მაგრამ ერთი საერთო ნიშა აქვთ: მათში სულის სიძლიერე, ეროვნული სულისკვეთება იკითხება. არაა გასაკვირი, რომ თვით იაპონელებიც კი ქართული სიმღერების შესწავლით ინტერესდებიან. გვაქვს საუცხოო ფოლკლორი, მისი ფასი უნდა ვიცოდეთ, ვიზრუნოთ მის წარმოჩენაზე.

- როგორია თვითმმართველობის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება იმ სიახლეებისადმი, რასაც აკეთებთ?

- ხულო, სხვა მუნიციპალიტეტებისგან მრავალი ნიშან-თვისებით გამოირჩევა. აქ თეატრია, მოქმედებს ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „არგინეთი“, საუკუნეს მიტანებული ადამიანები გამოდიან „ბერმუხაში“... მე უფლება არ მაქვს, გულხელდაკრეფილი დაველოდო მოვლენებს. თვითმმართველობის ხელმძღვანელები გვერდში მიდგანან, შრომასაც მიფასებენ. იმედია, ეს თანადგომა მომავალშიც გაგრძელდება.

დანდალოელებს კეთილმოწყობილი ცენტრი აქვთ

წელს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება ადმინისტრაციული ერთეულებისა და სოფლების ცენტრების კეთილმოსაწყობად

დასრულდა დანდალოს ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში შეაკეთეს არსებული კიბეები და მემორიალური სტენდი, მოეწყო მგზავრთა მოსაცდელი, დაიდგა წყლის სოკო და დეკორატიული სკამები.

სამუშაოები, რომლის ბიუჯეტი 174 430 ლარი იყო, კონკურსში გამარჯვებულმა შპს „ალსოფმა“ შეასრულა.

შიდა საუბნო გზების პროგრამის ფარგლებში, სოფელ გოგიაშვილებში, ლევან ავალიანის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ბეტონის საყრდენი კედელი და სანიაღვრე არხი ლითონის ცხაურით გაკეთდა. სამუშაოები კონკურსში გამარჯვებულმა შპს „მათე 555“-მა შეასრულა. ამ პროექტისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 85 609 ლარი იყო გამოყოფილი.

მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ფარგლებში, სოფელ გოგიაშვილებში ჯამბულ მამუჭაძის საცხოვრებელ სახლთან საყრდენი კედლის მოწყობაა დაწყებული. ამ სამუშაოსაც შპს „მათე 555“ ასრულებს, მისი ბიუჯეტი 44 875 ლარია.

მიმდინარეობს გოგიაშვილებსა და სოფელ ხარაულის ცენტრში მდებარე მინი-სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. სამუშაოებს „მშენებელი 5“ ასრულებს. ორივე პროექტის ღირებულება 234 433 ლარს შეადგენს.

ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ პირველ მოადგილე იმედა ვასაძესთან და დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელ ანზორ გოგიაშვილთან ერთად, დანდალოს ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულა.

- დანდალოელებს უკვე კეთილმოწყობილი ცენტრი აქვთ. სამუშაოები კონკურსში გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენლებმა დროულად და ხარისხიანად შეასრულეს. ჩვენ სისტემატურად ვაკონტროლებდით. ასე გაგრძელდება სხვა ობიექტებზეც, - გვითხრა როლანდ ბერიძემ.

სკვერი - ვაშლოვანში

ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრების კეთილმოწყობის ფარგლებში, ქვემო ვაშლოვანში ახალი სკვერი მოეწყო

ერთ დროს გამოუყენებელ ტერიტორიაზე ხეები და ბუჩქები, დეკორატიული ყვავილები დაირგო, დამონტაჟდა გარე განათების სისტემა, განთავსდა სკამები და სანაგვე ურნები. საფეხმავლო ბილიკები მოპირკეთდა დეკორატიული ფილებით. უსაფრთხოების მიზნით, ტერიტორიაზე გაკეთდა დეკორატიული ღობე, აშენდა ახალი მოსაცდელი, მოეწყო სველი წერტილები.

პროექტის ღირებულებამ 188 189 ლარი შეადგინა. სამუშაოები ხულოს მერიის დაკვეთით, კონტრაქტორმა კომპანიამ „მშენებელი-5“ შეასრულა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

დარეჯან (დოდო) მექვაბიშვილს

ქალაქის სევდა...

დ-ოდო, ძვირფასო, ვწუხვარ, მომიხდა,
ო-ხვრით ამოვთქვა ლექსის სტრიქონი.
დ-ავარქვა მერე „ქალაქის სევდა“,
ო-რი დღის წინათ სულ სხვას ვფიქრობდი,
მ-აინც რა იყო ეს ივნისობა,
ე-ლდა, ტკივილი, ცა ღრუბლიანი,
ქ-ალაქის სევდა ცასაც მოედო,
ვ-ით შეძლებს ლექსი, ზიდოს პიარი.
ა-მიერიდან სანთლის ციალი,
ბ-ილიკს გაგითბობს ციურ ამბორით,
ი-ფრინე, შორი გზა გაქვს სავალი,
შ-ორს სხვა სივრცეში, მიღმა ამ გორის,
ვ-ხედავ, ლივლივებ ქათქათა ფრთებით,
ი-ანგელოზები უკვე გელიან...
ლ-აჟვარდოვან ცას რომ ალივლივებს,
ს-ულ ზეციური მგალობლებია.
შენი ფაქიზი სულის სიმბოლოს -
ანგელოზები დაგიფენს ლოტოსს...
იფრინე, დოდო, ქათქათა ფრთებით,
ქათქათა ფრთებით იფრინე დოდო!..

ცისანა ანთაძე

მან აღასრულა თავისი ვალი...

ყოველდღე რეკავს გლოვის ზარები, სულ უფრო მცირედნი ვრჩებით, ერთმანეთს ვაცილებთ და გული გვტკივა, რომ სიცოცხლეში სათანადო პატივს ვერ მივაგებთ ღვაწლმოსილ ადამიანებს. ვერ ვუთხარით - შენ სხვა პეწი გაქვს, სხვა მადლი. ვემშვიდობებით დოდო მექვაბიშვილს. გულწრფელად ვეუბნებით, შენ იქ მიდიხარ, ვინც გენატრებოდა. ნაადრევია, მაგრამ შენ შეასრულე შენი ვალი სამშობლოს, ოჯახისა და მეგობრების წინაშე. დრო გავა და ნათლად გამოჩნდება, რა პიროვნული ღირებულებები ასაზრდოებდა მას, რა ალამაზებდა მის ცხოვრებას, რით იყო ის მნიშვნელოვანი.

ასაკს ყავლი გაუდის, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ერთურთის დაფასება, მოსახადია ერთმანეთთან მიუსვლელობა, ავი ენაც და ავი სიტყვაც მოსახადია, მაგრამ ჩვენი ქვეყანა რომ გათბება, ესეც ცხადზე ცხადია.

თანამდებობა გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი, ფიზიკური შესაძლებლობების ხარჯვაა და მას გაფრთხილება უნდა. რა თქმა უნდა, იგი ავტორიტეტიცაა და მას მოპოვება უნდა, ცხადია, იგი უმაღლესი პასუხისმგებლობაცაა და მას ფაქიზად მოპყრობაც სჭირდება. ეს კარგად ესმოდა დოდოს. კომკავშირულ თუ პროფკავშირულ იერარქიულ საფეხურებზე მუშაობისას თავის ირგვლივ იკრებდა ღირსეულ და საქმიან ადამიანებს. ის ძალზედ თავდაჭერილი და ზომიერი იყო, რასაც აკეთებდა, ხმაურისა და პომპეზურობის გარეშე აკეთებდა და ყოველთვის საკუთარი ხელწერით გამოირჩეოდა. ადამიანების მიმართ კეთილგანწყობა, განათლება, მაღალი კულტურა და ზნეობა ბუნებრივად იყო შერწყმული მის ყოველდღიურ საქმიანობასთან.

დოდო მექვაბიშვილი თითოეული ჩვენგანისთვის ღირსების, სიდარბაისლის, სიბრძნისა და განუზომელი სიკეთის განსახიერება.

ახლა ჩვენს მეგობარზე წარსულში ვსაუბრობთ, დასანანია, დიდი დანაკლისია, ამასთან, ბედნიერებაა, გაიხსენო მისი ღვაწლი და გულდაჯერებით თქვა - იმქვეყნიურ სასუფეველში მიემართება ღირსეული ქართველი ქალბატონი, ვალმოხდილი ოჯახის, ახლობლების, მეგობრებისა და სამშობლოს წინაშე.

საქართველოს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია სოროპტიმისტ ინტერნეიშენალი კლუბი „ბათუმი“

დიდი ადამიანები უძეგლოდ მიდიან...

მეწყინა, ტკივილიანი გრძნობა დამეუფლა, დიდებული პიროვნება იყო ჩვენი დოდო. უახლოეს ადამიანს, სიკეთით აღვსილს, ერთგულ და მოყვარულ პიროვნებას ვშორდებით. ვწუხვარ, რომ სანაცვლო სითბო ვერ ვაგრძნობინეთ. დიდი ადამიანები უძეგლოდ მიდიან ამ ქვეყნიდან.

ნათელში გვიმყოფე, უფალო!

ალეკო ჯიბლაძე

გამორჩეული მეგობარი

დიდად სამწუხაროა, რომ წარსულში გვიწევს მოხსენიება ჩვენი დიდი ხნის გამორჩეული მეგობრის დოდო მექვაბიშვილისა. მან წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს ცნობიერებაში, როგორც უკეთილშობილესმა პიროვნებამ, სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ყოველმხრივ გამორჩეულმა პროფკავშირულმა მუშაკმა.

ქალბატონი დოდო ყოველთვის ნათელი მაგალითი გახლდათ იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანის კანონიერი უფლებების და ინტერესების დამცველი, შეუვალი და პრინციპული პროფკავშირული ლიდერი, მაღალი დონის ხელმძღვანელი. შეუფასებელია მისი უაღრესად დიდი წვლილი ავტონომიური რესპუბლიკის პროფესიული კავშირების განვითარებაში. ქალბატონ დოდოს უფლისაგან მომადლებული ჰქონდა საუკეთესო ადამიანური თვისებები, მკვეთრად გამოხატული პიროვნული უნარ-ჩვევები, რაც განაპირობებდა საზოგადოებაში, პროფესიულ კავშირებში მის მზარდ ავტორიტეტსა და პოპულარობას. მარადიული ხსოვნა ჩვენს უახლოეს, უღალატო მეგობარს, ჩვენს დოდოს. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს მის გაუტეხავ, ლამაზ, სპეტაკ სულს. თანავუგრძნობთ და ვიზიარებთ ქალბატონი დოდოს დების, დისშვილების, ნათესავებისა და ახლობლების უდიდეს მწუხარებას.

შოთა მესხიძე

ჩემო დოდო

ხულოში შენი სამეგობრო მოციქულთა ნაფეხურებიან მიწაზე, ღვთის სახლში გინთებდით სანთელს და ლოცვით შევთხოვდით უფალს შენს გამოჯანმრთელებას, გადარჩენას.

ძნელია, სიტყვებით გამოვხატო განცდა, რომელიც თითოეულ ჩვენგანს დაგვეუფლა, როცა გავიგეთ, რომ დატოვე მიწიერი სამყარო.

დავცარიელდით. ცრემლი ყინულად გვექცა, სული აგვიკვნესდა, გული გაგვიქვავდა. ამიერიდან ჩვენთვის ძვირფას ადამიანზე, ჩვენს დოდო მექვაბიშვილზე წარსულ დროში უნდა ვისაუბროთ, რადგან ველარ გავიგონებთ შენს ხმას, აღარასოდეს გამოჩნდები ჩვენ ირგვლივ.

გვიყვარს ის დრო და ის დღე, როცა გამოჩნდი ჩვენს ცხოვრებაში, სიყვარულით სავსე გულით, სათნოების შარავანდედით მოსილი, სუფთა, როგორც მთის ანკარა წყარო. ნაცნობობა მეგობრობაში გადაიზარდა, რადგან გიყვარდა „მოყვასი ვითარცა თავი თვისი“. ამიტომაც ხარ ყველაზე დიდი ტკივილი ჩვენთვის, ირგვლივ მყოფთათვის.

სევდიანი ლოცვებით შევთხოვთ უფალს, შენი სპეტაკი სული იქ დაავანოს, სადაც მართალნი განისვენებენ. მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი შენი სალოცავი მამულის მიწა.

ხულოელი მეგობრების სახელით,
ეთერ დეკანაძე

ვემშვიდობებით

ჩვენს თაობას გამოაკლდა ღირსეული ქალბატონი დარეჯან (დოდო) მექვაბიშვილი. ათეული წლების განმავლობაში, სხვადასხვა - რიგით თუ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობისას, ერთნაირი ერთგულებით, თავდადებით, გამორჩეული პასუხისმგებლობით და სიყვარულით ემსახურა სამშობლოს. ის იყო განათლებული, დიდი ინტელექტისა და კულტურის მქონე ქალბატონი, რომელიც უშურველად უზიარებდა საკუთარ გამოცდილებას ახალგაზრდებს. იყო ყველასთვის მისაბაძი თავისი პრინციპულობით. უზომოდ უყვარდა მშობლიური აჭარა და სხვებსაც თავისი გამორჩეულობით შეგვაყვარა იგი.

დოდო მექვაბიშვილის სახით ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა სამშობლოს დიდი გულშემატკივარი, ისეთი ადამიანი, რომელზედაც დგას დღეს საქართველო.

მისი მეგობრები დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ დოდოს გარდაცვალების გამო. იგი ყოველთვის იქნება ჩვენთვის კეთილსინდისიერების, გულისხმიერების, პროფესიონალიზმის, ადამიანობის სანიმუშო მაგალითი.

დოდო მექვაბიშვილის ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენი თაობის მეხსიერებაში.

მარიზა აბრამიძე, ანა ალავერდაშვილი, მაყვალა ბერიანიძე, სულიკო ბეჟანიძე, მალხაზ გოჩაშვილი, მარინა ლომიძე, ჯემალ მარგველიძე, ზაზა მარუაშვილი, რობერტ მაღლაკელიძე, იამზე მაჭავარიანი, ნელი ნადარეიშვილი, ქეთევან სადრაძე, ზოია ქარსელაძე-მუმლაური, მარინა ხარატიშვილი, ბადრი ხატიძე, მანონი ხაჩიძე, ზურაბ ხუნტუა.

თბილისი

როდის დაიწყება საბავშვო ბაღების ავტორიზაცია?

მე-2 გვერდიდან

- კომპლექსურად, სხვადასხვა საჯარო უწყების ჩართულობით და ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერით, მიმდინარეობს რეფორმის განხორციელება. ამ ეტაპზე, დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, თითოეული სკოლამდელი განათლების დაწესებულება გადის თვითშეფასების პროცედურას იმისთვის, რომ შემდგომში მოხდეს მათი ავტორიზაცია. მნიშვნელოვანია ამ ტიპის კონფერენციების გამართვა, რადგან აქ ხდება როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული მასალების სინთეზი, ანალიზი, გამოცდილების გაზიარება. ასევე ვმსჯელობთ იმაზე, თუ რა ნაბიჯებს დგამს სკოლამდელი განათლების გაძლიერების მიმართულებით თითოეული საჯარო უწყება, რა როლს ასრულებს მუნიციპალიტეტი, განათლების სამინისტრო, საკანონმდებლო უწყებები. ქალაქ ბათუმის მერიამ წარმოადგინა თავისი გეგმა მშენებლობასთან, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით. ვხედავთ, რომ იზრდება ახალი ბაღების რაოდენობა, მიმდინარეობს ბაღების რეაბილიტაცია. გამოწვევებს რაც შეეხება, ეს უკავშირდება ინფრასტრუქტურას, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელიც არის რამდენიმე ნაწილად დასაყოფი. ერთი არის უშუალოდ პროგრამის დახვეწა, მეორე - შესაბამისი კადრების გაძლიერება. ამ მიმართულებით როგორც მუნიციპალიტეტები, ასევე საქართველოს განათლების და აჭარის განათლების სამინისტროები ვახორციელებთ არაერთ პროექტს. ყველა იმ გამოწვევის დასაძლევად, რომელიც დღეს ბაღების გაძლიერებას უკავშირდება, სახელმწიფო დგამს სწორ და მნიშვნელოვან ნაბიჯებს. ეს არის დროში გაწერილი პროცესი, რომელიც ძალიან დიდი და თანმიმდევრული სამუშაოების ჩატარებას გულისხმობს, - აღნიშნა მაია ხაჯიშვილმა.

როგორც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ანზორ ბერიძემ აღნიშნა, პროცესში უმნიშვნელოვანესია უმაღლესი სასწავლებლის როლი და ჩართულობა. მისივე ინფორმაციით, უნივერსიტეტმა უკვე შეიმუშავა სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამა, ასევე მათ აქვთ სკოლამდელი განათლების პედაგოგებისთვის გადამზადების კურსები, სადაც დაინტერესებულ ადამიანებს შესაძლებლობა აქვთ, აიმაღლონ კვალიფიკაცია.

ადრეული განათლების საკითხზე, იმაზე, თუ რა მიდგომებია საჭირო ბავშვის სწორი განვითარებისთვის, ბავშვთა ფსიქოლოგებმა საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს და გამოცდილება გაუზიარეს დარბაზში მყოფ ადამიანებს. „აჭარასთან“ აღნიშნულ საკითხზე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა, ფსიქოლოგმა რუსუდან კეჭაყმაძემ ისაუბრა:

- სკოლამდელი ასაკი რომ ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ადამიანის განვითარებაში, ეს ცხადზე უცხადესია და ამაზე არაერთი კვლევა არსებობს. დავიწყოთ იქიდან, რომ აღნიშნულ ასაკში ბავშვი დამოუკიდებლად იწყებს სიარულს, ივითარებს მეტყველებას, სოციალურ უნარ-ჩვევებს... შესაბამისად, სკოლამდელი დაწესებულება უნდა იყოს ადგილი, რომელიც ბავშვს ხელს შეუწყობს სწორი უნარების განვითარებაში. ამას კი, უპირველესად, თამაში, თამაშით სწავლება უწყობს ხელს. უნდა ვაღიაროთ, რომ ბავშვებს თამაშისთვის ძალიან ცოტა დროს ვუტოვებთ, ეს ეხებათ მშობლებს, რომლებსაც სურთ, რომ მათი შვილი პატარაობიდანვე სწავლაზე იყოს ორიენტირებული. რა თქმა უნდა, სწავლა აუცილებელია, მაგრამ ყველაფერი თანმიმდევრულად და თამაშით უნდა მივაწოდოთ პატარებს, რათა მათთვის სწავლა არ ასოცირდებოდეს დამღლელ რუტინასთან. თამაშ-თამაშით უამრავი რამ შეიძლება ისწავლოს ბავშვმა, რა თქმა უნდა, მისი განვითარების დონის შესაბამისად. ჩვენ რაც უნდა პროგრამები მოვიფიქროთ, ადამიანის განვითარების პროცესს თავისი დინამიკა და სპეციფიკა აქვს. ყველაფერი იწყება ოჯახიდან. ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვისთვის არის მშობელთან ურთიერთობა, რომელსაც ვერაფერი ანაცვლებს. ჩემი რეკომენდაციაა, რომ მშობლებმა უფრო მეტი დრო გაატარონ შვილებთან, ბევრი ეთამაშონ და ესაუბრონ, რამეთუ ბავშვისთვის განცდას, რომ მშობელი მისი მხარდამჭერი და თანასწორია, უდიდესი ძალა და ენერგია აქვს, - გვითხრა რუსუდან კეჭაყმაძემ.

კონფერენცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოში (UNICEF Georgia), იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა (JICA) და სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ პარტნიორობით გაიმართა.

„კრემლი ასოცირდება არა მხოლოდ გენოციდთან, არამედ ეკოციდთანაც...“

მე-3 გვერდიდან

- როგორც კი რომელიმე მხარე დარწმუნდება, რომ ომის მოგება შეუძლებელია ან ძალიან ძვირი ჯდება, უფრო მეტია ალბათობა, სწორედ იმ მხარემ შეწყვიტოს ომი. უკრაინელები თვითგადარჩენისათვის იბრძვიან, ეს კი ნიშნავს, რომ მათ ომში მარცხით ბევრად მეტი აქვთ დასაკარგი, ვიდრე რუსებს. შესაბამისად, უკრაინას შეუძლია იბრძოლოს ბოლო სამხედრომდე, რუსეთი კი ამას ვერ გააკეთებს - ამის არც მოტივაცია აქვთ და არც შესაძლებლობა. გამოფიტვა ის კი არ არის, რომ ვითომ რუსეთს ცოცხალი ძალა აღარ ეყოლება ომის გასაგრძელებლად, ცხადია - არა, არამედ ის, რომ ომის მხარდაჭერა იმდენად შემცირდება, ფრონტზე წასვლა აღარავის მოუნდება - აღარც დაქირავებულს, აღარც - რეგულარულ ნაწილებს და აღარც - მობილიზებულებს. პირველ მსოფლიო ომში ახალი რეალობა რომ დადგა, მაშინ იმპერატორმა ვერ დაინახა ეს და კიდეც მიიღო რევოლუცია ქვეყნის შიგნით. შესაძლოა, კრემლი უფრო ადეკვატური აღმოჩნდეს ახლა და თვითგადარჩენამ უბიძგოს ომის მანამ დასრულება, სანამ ამით ძალაუფლების დაკარგვის საფრთხე არ შეექმნება.

- არის მოსაზრება, რომ შესაძლოა, წლის ბოლოს მსოფლიოს გავლენიანმა ლიდერებმა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, საფრანგეთი...) მხარეები მოლაპარაკების მაგიდასთან დასვან. რამდენად მოსალოდნელია ამ ომის გაყინვა?

- სანამ არსებობს იმედი, რომ რუსეთი შეიძლება დამარცხდეს, მანამ ამის შანსი მინიმალურია.

- გერმანიის თავდაცვის მინისტრმა თქვა, ომში მყოფ ქვეყანას ნატოში არ მივიღებთო. მსგავსი განცხადებები რამდენად წაახალისებს კრემლს ახალი აგრესიისთვის?

- ცხადია, ეს ძალიან ცუდი განცხადებაა, მაგრამ რეალობა მართლაც ასეთია. ამიტომაა, რომ ახლა დიდია მოტივაცია რუსეთის ყველაფრის ფასად დამარცხებისა და იმ საერთაშორისო წესრიგის გადარჩენის, სადაც პატარა ერებს ექნებათ საშუალება დამოუკიდებლად წარმართონ თავიანთი საგარეო პოლიტიკა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თუკი ეს ომი აგრესორის მარცხით დასრულდება, გვექნება შესაძლებლობა ყველა იმ ქვეყანას, რომლებმაც რუსეთისგან აგრესია ვიწვნიეთ, დავასრულებინოთ ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია და მივიღოთ ტერიტორიული მთლიანობა.

- არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიღება. ამ მხრივ, როგორი იქნება რუსეთის გეგმა, თუ საქართველომ დეკემბერში კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღო?

- კანდიდატის სტატუსი ჩვენთვის არ არის მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობის. ევროკავშირთან ინტეგრაციის დაწყება ნიშნავს ეკონომიკურ წინსვლას, ინვესტიციებს, რომლებიც უბრალო ადამიანების ღირსეულ დასაქმებაზე აისახება, ნიშნავს მომატებულ კავშირებს სტუდენტებს შორის საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ და, რაც მთავარია, ნიშნავს, რომ ცივილიზაციურად საქართველო გამოვიდა რუსული გავლენის სფეროდან და აღარ მართავს არც ქვეყნის შიდა და არც ქვეყნის გარე პოლიტიკას რუსული მეთოდებით. სტატუსი შეიძლება არ დაუმსახურებია ხელისუფლებას და მეტიც, უცნაური და გარე თვალისათვის საბოტაჟურ მეთოდებსაც კი მიმართავს მის არმისაღებად, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი იმაზე მეტად იმსახურებს სტატუსს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. სტატუსის ვერმიღება ქვეყანაში არსებულ უიმედო პოლიტიკურ მდგომარეობას დაამძიმებს, ეს კი ყველაზე უარესი შედეგი იქნება.

- დაბოლოს, როგორ შეაფასებთ საქართველოს შანსს, მიიღოს კანდიდატის სტატუსი და რა პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც ხელისუფლებას, ისე საზოგადოებას, რომ ჩვენი ქვეყანა რუსეთის გავლენის ქვეშ არ მოექცეს?

- საქართველო გეოპოლიტიკურ ციხეში იმყოფება - რეგიონის უმთავრეს მოთამაშეებად რუსეთი, ირანი და თურქეთი რჩებიან, რომლებსაც თანდათან ემატება ჩინეთიც. დემოკრატია საქართველოში გაფერმკრთალებულ ცნებად და ღირებულებად იქცა. არადა, იქ, სადაც არაა დემოკრატია, არ აქვს ნიჭიერ ადამიანს შანსი, გამოავლინოს საკუთარი თავი, ცოდნა, მიიღოს სასურველი განათლება, ჰქონდეს სასურველი შემოსავალი და ასე შემდეგ. ავტოკრატიებისათვის გაღარიბებული და ხელისუფლების დონაციაზე ჩამოკიდებული მოსახლეობა ადვილად სამართავია. ამ რეალობაში იმყოფება ახლა საქართველო. ამიტომაა, რომ ევროპასთან კავშირი არა მხოლოდ ფსიქოლოგიურად შეცვლის, არამედ გეოპოლიტიკურ ციხესაც გაარღვევინებს საქართველოს და არც დემოკრატიის (რეალური დემოკრატიის და არა ფიქციის) მიღწევა იქნება შეუძლებელი. მხოლოდ მონას არ ეკითხებიან არაფერს. ჭეშმარიტი დემოკრატია თავისუფალი ადამიანების მმართველობაა.

ხსოვნა

დარეჯან (დოდო) მექვაბიშვილი

აჭარის პროფესიული კავშირების ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ნაღვლიანი დღე დაგვიდგა - 2023 წლის 7 ივნისი. ამ დღეს სრულიად საქართველოს პროფკავშირულმა მოძრაობამ დაკარგა ამ მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი და სულისჩამდგმელი, აჭარის პროფესიული კავშირების გაერთიანების გამორჩეული ხელმძღვანელი და მებრძოლი სული, ქალბატონი დარეჯან (დოდო) მექვაბიშვილი.

წარმოუდგენლად მძიმეა წარსულ დროში ისაუბრო ამაგდარ მასწავლებელზე, უბადლო ხელმძღვანელსა და გულითად უფროს მეგობარზე, მაგრამ გულდასაწყვეტ რეალობას ვერსად გავექცევით.

დარეჯან (დოდო) მექვაბიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა არის დიდი ქართველისა და მამულიშვილის განვლილი გზა მრავალ ქარტეხილსა და ბრძოლის ველზე.

ის იყო მრავალმხრივ განათლებული, განსხვავებული შესაძლებლობებისა და ნიჭის ადამიანი, შესაბამისად, მის მიერ განვლილი ცხოვრებაც ყოველთვის იყო ცეცხლოვანი, აქტიური და ბრძოლისუნარიანი.

ბათუმის №1 სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ის გახდა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, რუსთაველის სახელობის სტიპენდიატი, წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი. შემდეგ იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა, მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი.

წლების განმავლობაში მუშაობდა კომკავშირის ბათუმის საქალაქო და საოლქო კომიტეტების მდივნის თანამდებობებზე, იყო აჭარის განათლებისა და სახალხო კონტროლის, ასევე, აჭარის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

დოდო მექვაბიშვილი 90-იან წლებში აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, შესაბამისად, 1990-1991 წლებში, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, გახლდათ პირველი ბათუმის საქალაქო საბჭოს არჩეული (ამჟამინდელი ბათუმის საკრებულო) წევრი.

საქართველოსთვის ყველაზე ავბედით პერიოდში, ჰუმანიტარული მისიით იმყოფებოდა აფხაზეთში, ფრონტის ხაზზე, სადაც შეხვდა აფხაზეთში მებრძოლ ქართველ მეომრებსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.

დოდო მექვაბიშვილმა თავისი ცხოვრების ბოლო 20 წელი მიუძღვნა პროფკავშირულ მოძრაობას, იგი ამ მოძრაობის სათავეებთან იდგა და სიცოცხლის ბოლო დღეებიც მის ავანგარდში გაატარა. იყო პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების გამგეობის წევრი და თავმჯდომარის მოადგილე, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ასრულებდა საქართველოს პროფესიული კავშირის გაერთიანების თავმჯდომარის მოვალეობას, ხოლო ბოლო 7 წლის განმავლობაში, სიცოცხლის ბოლომდე, გახლდათ აჭარის პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, არჩეული იყო პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის კომიტეტის წევრად.

დარეჯან (დოდო) მექვაბიშვილის შრომა და მოღვაწეობა დააფასა ქართველმა ხალხმა - დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, აჭარის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის მედლით, შარშან მიენიჭა „საპატიო ბათუმელის“ წოდება.

ქალბატონი დოდო იყო ერთ-ერთი გამოჩენილი და გამორჩეულად ღირსეული ქალბატონი, საზოგადო მოღვაწე, რომლის თავდაუზოგავმა შრომამ შექმნა საქართველოში და ჩვენს რეგიონში თანამედროვე პროფკავშირული მოძრაობა.

მშვიდად განისვენეთ, ვალმოხდილო მამულიშვილო!

უფალმა დაგიმკვიდროთ სასუფეველი!

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ქალბატონო დოდო!

აჭარის
პროფესიული
კავშირების გაერთიანება

პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება იუწყება, რომ გარდაიცვალა
დარეჯან (დოდო) მექვაბიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ხელოვნების, მასმედიის, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა
დარეჯან (დოდო) მექვაბიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა
დარეჯან (დოდო) მექვაბიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ბათუმის საქალაქო ორგანიზაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა
დარეჯან (დოდო) მექვაბიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მომსახურების, კომუნალური და ბანკების მუშაკთა პროფკავშირების აჭარის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა
დარეჯან (დოდო) მექვაბიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს თვითდასაქმებულთა, ვაჭრობის სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა
დარეჯან (დოდო) მექვაბიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მსუბუქი, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა
დარეჯან (დოდო) მექვაბიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში დასაქმებულთა აჭარის დამოუკიდებელი დარგობრივი პროფესიული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა
დარეჯან (დოდო) მექვაბიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ჟუჟუნა გაბაიძე იუწყება, რომ გარდაიცვალა
დოდო
მექვაბიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარიას“ კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა
დოდო მექვაბიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძიებელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 9/06/23, 19 40 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„შეცდომებზე უნდა ისწავლო და ოცნებები ფრთხილად შეარჩიო“

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ჩვენი გაზეთის სტუმარია პოპულარული მწერალი ***თინათინ გერიძე.*** *მისმა რომანებმა „მოპარული სიყვარული“ და „მეორე შანსი“ მკითხველთა მოწონება დაიმსახურა, ის „პალიტრა L-ის“ ლიტერატურული კონკურსის „გახდი ბესტსელერის ავტორი“ 2019 წლის გამარჯვებულია, რაც ძალიან საამაყოა.*

- დაახასიათეთ საკუთარი თავი - საკუთარ თავზე საუბარი მიჭირს, არც ვიცი, როგორ აღვწერო, მაგრამ მიხარია, როცა მახასიათებენ როგორც „მხიარულს“.

- რის მიღწევაზე ოცნებობდით წლების წინ? - ბევრ რამეზე, მათ შორის, ჟურნალისტობაზეც, მაგრამ მწერლობაზე - არასოდეს. 2019 წელს შემთხვევით მივიღე მონაწილეობა კონკურსში „გახდი ბესტსელერის ავტორი 2019“ და აქედან დაიწყო ჩემი, როგორც მწერლის კარიერა... თუმცა „კარიერა“ ხმამაღალი ნათქვამია. ვფიქრობ, გამიმართლა და საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდი.

- ახლა რას საქმიანობთ? - ქედის რესურსცენტრის ფინანსისტი ვარ.

- რწმენა გაძლიერებთ? - გარკვეულწილად, კი... მაგრამ რომ გითხრათ, საკუთრი თავის რწმენა დიდად მაქვს-მეთქი, მოგატყუებთ. არის შემთხვევები, როცა საკუთარი შესაძლებლობების არ მწამს, სანამ სხვები არ „შემაგულიანებენ“.

- როცა სევდა გიპყრობთ... - ამ დროს დიდი სურვილი მაქვს ვიტირო და ასე დავაღწიო თავი სევდას... „ცრემლების თერაპია“ მშველის, მაგრამ ზოგჯერ სევდა ისე გეწვევა, ცრემლებზე უარის თქმა გიწევს.

- ოჯახი - ბედნიერების სათავე... - ბედნიერების სათავე რამდენად არის, არ ვიცი, მაგრამ ბედნიერების ერთ-ერთი წინაპირობა ნამდვილად არის. პირადად მე ოჯახის მხარდაჭერას ყველა ნაბიჯზე ვგრძნობ და ეს მაბედნიერებს.

- მიტევება შეგიძლიათ? - ხშირად არ ვფიქრობ ამაზე. შეიძლება ვთქვა, რომ მივუტევე, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში სულ მახსოვდეს. ეს ნიშნავს, რომ ვერც ვერაფერი მივუტევე. არ ვარ მაინც-დამაინც, მიმტევებელი.



- როცა ფიქრები მოგეძალებათ... - როცა ფიქრები მომეძალება, ძალიან არეულია, ვფიქრობ ყველაფერზე: ახალი წიგნის სიუჟეტიდან დაწყებული, მეორე დღეს სამსახურში გასაკეთებელი საქმეებით დამთავრებული. ვაღიარებ, ამ ბოლო დროს ყველაზე ხშირად ვფიქრობ იმაზე, თითოეული მოსმენილი ისტორია რამდენად გამოდგება წიგნის სიუჟეტად.

- თქვენი ხასიათის მთავარი შტრიხი... - არც კი ვიცი, მაქვს თუ არა ხასიათში განსაკუთრებული შტრიხი, რომელიც რაღაცის მიღწევაში დამეხმარა.

- ოდესმე, ღმერთს თუ შეხვდებოდით, რას ისურვებდით, რომ თქვენთვის ეთქვა? - რომ სწორად ვიცხოვრე.

- მეგობარი სულის არჩევანია - კი. მყავს მეგობრები, რომლებიც უფრო კარგად მიცნობენ, ვიდრე მე - საკუთარ თავს. მიწერილ შეტყობინებებშიც რომ ხვდებიან შენს განწყობას, ეს რა არის, თუ არა სულის არჩევანი?

- სიცოცხლე საჩუქარია? - კი, საჩუქარია, გააჩნია, როგორ გამოიყენებ.

- თქვენი ჰობი - კითხვა, ფილმების ყურება, ახლა უკვე წერაც. სიამოვნებით ვიტყოდი „მოგზაურობასაც“, მაგრამ აქ სურვილები და შესაძლებლობები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს.

- რა განსხვავებაა ცხოვრებასა და არსებობას შორის? - არსებობით, ყველა და ყველაფერი შეიძლება არსებობდეს, მთავარია როგორ იცხოვრებ. შენს მიერ გადადგმული ნაბიჯები აჩვენებს, ცხოვრობდი თუ, უბრალოდ, არსებობდი.

- მუსიკა სამყაროს ენაა - ჩემთვის მუსიკა არის დამშვიდების საშუალება. როცა ცუდ ხასიათზე ვარ, მუსიკის მოსმენით „ვმკურნალობ“.

- ვინ არის თქვენი ცხოვრების მასწავლებელი, მოძღვარი? - კონკრეტულად, ერთი ადამიანის გამორჩევა გამიჭირდება. ბევრს აქვს სხვადასხვა დროს მსგავსი როლი შესრულებული, ბანალური ვიქნები და ვიტყვი, რომ ცხოვრებაა საუკეთესო მასწავლებელი.

- სამაგიდო წიგნი? - ერთი გამორჩეული წიგნი არ მაქვს. ბევრი წიგნია, რომელსაც პერიოდულად ვუბრუნდები ხოლმე.

- მწერალი, რომელთანაც ისაუბრებდით? - ყველა მწერალს, ვისი წიგნის კითხვა მსიამოვნებს, ვესაუბრებოდი. თემად წიგნის წერის პროცესს შევარჩევდი, რაც ჩემთვის სასიამოვნოსთან ერთად სასარგებლოც იქნებოდა. იყო დრო, სტივენ კინგის გაცნობა მინდოდა. მაინტერესებდა, საიდან ჰქონდა ასეთი „საშიში“ ფანტაზია.

- საყვარელი მწერალი, პოეტი - ეს კითხვა ჩემთვის ყველაზე რთულია, რადგან კონკრეტული მწერლების დასახელება მიჭირს. ძალიან ბევრი მწერალი მიყვარს.

- რომელი წიგნის დასაწყისია საუკეთესო? - „მარტოობის ასი წელიწადის“ დასაწყისი მიყვარს. ამ ბოლო დროს კამიუს „უცხო“ წავიკითხე და პირველმა წინადადებამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ პირველ ადგილზე, ულაპარაკოდ, „ტომ სოიერის თავგადასავალია“. შეიძლება იმიტომ, რომ ტომ სოიერი ჩემი პირველი სიყვარულია.

- თქვენი აზრით, რა არის, მკითხველისთვის პირველი მცნება? - მხოლოდ ის წიგნები უნდა წაიკითხო, რომელიც სიამოვნებას განიჭებს. დაძალებით წაკითხული კითხვას შეგაძულებს.

- რა უფრო მნიშვნელოვანია, რეალობის ასახვა თუ გამონაგონი? - დიდ პატივს ვცემ ხალხს, რომელიც რეალობას ასახავს, მაგრამ მე გამოგონილ ამბავზე მირჩევნია წერა. ასე ისტორია, გმირები, ყველაფერი „შენია“ და როგორც გინდა, ისე განავითარებ, რეალური ამბები კი რაღაც ჩარჩოებში გაქცევს.

- დაასახელეთ 21-ე საუკუნის სამი საუკეთესო ქართული რომანი - აკა მორჩილაძის „სანტა ესპერანსა“, ნინო ხარატიშვილის „მერვე სიცოცხლე“ და ზაზა ბურჭულაძის „ტურისტის საუზმე“.

- ნაწარმოები, რომლის ავტორიც იქნებოდით - „ჰარი პოტერი“. ვაღიარებ, წაკითხულიც კი არ მაქვს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ყველა დროის საუკეთესოა გაყიდვების მიხედვით, სიამოვნებით ვიქნებოდი მისი ავტორი. განსაკუთრებით მხიბლავს იდეა, რომ ნაწარმოებზე ფილმი იქნება გადაღებული.

- დღეები, რომლებსაც ხშირად იგონებთ... - ყველა დღეს აქვს რაღაც მნიშვნელობა. დღევანდელი გადასახედიდან ყველაზე ხშირად სტუდენტობას ვიხსენებ. ალბათ იმიტომ, რომ უფრო ლაღი ვიყავი და ნაკლები სადარდებელი მქონდა.

- ახლა რას ნატრობთ? - იმდენ რამეს ვნატრობ როგორც პირადს, ისე გლობალურს, რომ ჩამოთვლა შორს წამიყვანს, მაგრამ ორს მაინც ვიტყვი: მსოფლიოსთვის - რუსეთის დამარცხება, პირადად ჩემთვის - ახალი წიგნი, რომელიც „გზაშია“, მინდა მკითხველმა კარგად მიიღოს.

- ყველაზე დიდი გამოცდილება, რაც ცხოვრებამ გასწავლათ? - შეცდომებზე უნდა ისწავლო და ოცნებები ფრთხილად შეარჩიო. არც ვიცი, გულის სიღრმეში, ჩუმად თუ მოიცნებია წიგნის ავტორობაზე, მაგრამ...

- ფრაზა, რომელიც თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია - ესეც გაივლის!

- სიმბოლურად რას დახატავდით, საქართველოს დახატვა რომ გთხოვონ? - მუხას და ოპტიმისტურ მინაწერსაც გავუკეთებდი: გულს ნუ გაიტეხ, მუხა კვლავაც შეიმოსება!

- დაბოლოს, შეკითხვა საკუთარ თავს - თინათინ, გვეშველება რამე?

ფესტივალის ლაურეატები გახდნენ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

პოეტი, დეკლამატორი, რეჟისორი, ქართული ჯარის რეზერვისტი - ასე იცნობს საზოგადოება ნანა შაინიძეს. არაერთი მძიმე, ცხოვრებისეული სტრესის მიუხედავად, შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობას არ წყვეტს. უკვე მუსიკალურ ჟანრშიც თავისი სიტყვა თქვა და წარმატებულად:

- არის დღეები, რომლებიც განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე გაყენებს და ეს გათავისებული გაქვს, როცა საკუთარ თავს უფლებას აძლევ, თანაც პირველად, წარმოადგენდე შენს ქვეყანას უცხოეთში და წილი გაიღო მის წარმოჩენაში. სწორედ ეს ფრაზები გვასულდგმულებდა მე და თაკო საგინაძეს, როცა პოლონეთში, კერძოდ, ქალაქ ბოხნიაში, რიგით მეთექვსმეტე საერთაშორისო ფესტივალზე - „ხმით დახატული ინტეგრაცია“, წარვადგინეთ საკონკურსო ნომერი „იავნანა“. მაღალი კონკურენციის მიუხედავად, ჩვენ მიერ შესრულებულმა სიმღერამ ჟიურის მოწონება დაიმსახურა, ლაურეატებიც გავხდით. ცოცხლად, ორკესტრთან ერთად ვიმღერეთ, რაც არაა იოლი. ეს ნომერი საქართველოს, ჩვენი საფიცარი სამშობლოს უნიკალურ ტრადიციას მივუძღვენით, ჩვენთან ხომ დედის ფენომენი უფლის სიყვარულთან არის გაიგივებული. და თუ არა უფალი, არც არაფერი იქნებოდა სამყაროში... აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აჭარის ახალგაზრდობის რეგიონალური ცენტრის, ხელვაჩაურის მერიისა და ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის თანადამფუძნებელ ნატალი სხალთელის თანადგომით მოვიპოვეთ ეს აღიარება.

ბსუ-ის სტუდენტები სინოპში გაემგზავრებიან

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-14 საერთაშორისო გამოფენის „EBIT 2023-ის“ სტაჟირებაში მონაწილე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებს სასწავლებლის რექტორი მერაბ ხალვაში, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის თავმჯდომარე ოსმან ჩალიშქან-მუავანაძე, ბსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი ირაკლი კორძაია შეხვდნენ და სერტიფიკატები გადასცეს

სტუდენტები საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციისა და საერთაშორისო გამოფენებისა და ღონისძიებების კომპანია „ექსპო ბათუმის“ მხარდაჭერით, სინოპის უნივერსიტეტს ეწვევიან. ახალგაზრდები უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას, ტურიზმის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებს და სინოპის ტურისტულ პოტენციალს გაეცნობიან.

სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართება სინოპის უნივერსიტეტის რექტორთან, გუბერნატორთან, მერთან, სინოპის კულტურისა და ტურიზმის დირექტორთან, სინოპისა და საქართველოს კულტურისა და თანამეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარესთან. დაგეგმილია შეხვედრა ფაცაში მცხოვრებ ჩვენებურებთან.

შეხვედრის დასასრულ უნივერსიტეტის რექტორმა მერაბ ხალვაშმა მადლობის სიგელი გადასცა ოსმან ჩალიშქან-მუავანაძეს საუნივერსიტეტო საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის.

იქნება ხვიჩა ნომინანტთა შორის?

მომდინარე წლის „ოქროს ბურთის“ დაჯილდოების ცერემონია 30 ოქტომბერს პარიზში, შატელეტის თეატრში გაიმართება, ნომინანტთა სია კი 6 სექტემბერს გახდება ცნობილი.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა პოპულარულ სააგენტო Goal-ის ბოლო მონაცემები, რომლის მიხედვითაც ხვიჩა კვარაცხელია საუკეთესოთა ათეულში მე-8 პოზიციას იკავებს, ლიდერი კი ლიონელ მესია.

რაკი ხვიჩა სერია A-ს სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, თამამად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის France Football-ის ტოპ 10-ში მოხვდება.

ამირან გურიელიძე